		<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების განთავსების ობიექტის შიდა პერიმეტრზე არსებული ზონები უნდა მდებარეობდეს არსებული ან დაგეგმილი წყალმომარაგების განვითარებისათვის საჭირო გრუნტის წყლების 10-წლიანი შევსების ზონის მიღმა. • მრავალწლოვანი ნაკადი არ უნდა მდებარეობდეს შემოთავაზებული ნარჩენების განთავსების ობიექტის უჯრედიდან 300 მ-ზე ახლოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კულვერტიზაცია და არხების გაყვანა, ნაკადის შესაძლო დაბინძურებისგან დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით. ნარჩენების განთავსების ობიექტები უნდა განთავსდეს მცირე დახრის მქონე ფერდობზე, რაც იძლევა უჯრედების განვითარების შესაძლებლობას (მიწაყრილის მეთოდით), დახრის ისეთი კუთხით, რაც მინიმუმამდე დაიყვანს გათხრითი სამუშაოების საჭიროებას, რათა მიღწეული იქნეს გამონაჟონის დრენაჟისთვის საჭირო დაახლოებით 2%-იანი დახრილობა. • გრუნტის წყლების ჰორიზონტის დონე, რომელიც სეზონური მატებით ხასიათდება (10-წლიანი მაქსიმუმი) უნდა მდებარეობდეს ადგილზე წარმოებული გათხრების ფსკერიდან სულ მცირე 1.5 მეტრით ქვემოთ, რათა შესაძლებელი იყოს ობიექტზე უჯრედის მოწყობა. • ნიადაგის შესაფერისი საფარის მასალა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილზე, რათა არსებობდეს საკმარისი რაოდენობით შუალედური (მინიმუმ 30 სმ სიღრმე) და საბოლოო საფარისთვის (მინიმუმ 60 სმ სიღრმე), ისევე როგორც მიწაყრილის აგებისთვის (ნარჩენების განთავსების ობიექტი მუშაობს უჯრედული მეთოდით). სასურველია, ადგილზე მოიპოვებოდეს სათანადო ნიადაგი, რომელიც ასევე დააკმაყოფილებს საფარის მოწყობის საჭიროებებს (ჩვეულებრივ, მინიმუმ 15 სმ სიღრმის ნიადაგი) • საფუძველში არ უნდა იყოს კირქვა, კარბონატი, ნაპრალოვანი ან ფოროვანი გრუნტის წარმონაქმნები, რომლებიც გამონაჟონისა და აირების მიგრაციისთვის შეუსაბამო ბარიერებს წარმოადგენენ იქ, სადაც ეს შრეები 1.5 მ სისქისაა და წარმოადგენენ სულ ზედა გეოლოგიური სტრუქტურას, განლაგებულს სენსიტიური გრუნტის წყლების თავზე
7	ეკოსისტემები / ბიომრავალფეროვნება (ფლორა და ფაუნა)	<ul style="list-style-type: none"> • უნდა მოხდეს სათანადო მართვა და კონტროლი დახურვის / სამშენებლო საქმიანობასა და ჰაერის დაბინძურების და ხმაურის ზემოქმედების შესარბილებლად გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე (მაგ., თანამედროვე დანადგარების და ავტომანქანების გამოყენება, მაცუჩის დამონტაჟება და ა.შ.) • უნდა შემცირდეს ზემოქმედება ნარგავებიან ზონებზე და დასრულების შემდეგ ხელახლა მოხდეს მათი განაშენიანება • მშენებლობისას, ნარჩენების განთავსების ობიექტის ადგილს უნდა შემოეკლოს ღობე

№	გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები	პოტენციური შემარბილებელი ღონისძიებების აღწერა
		<ul style="list-style-type: none"> • უნდა მოხდეს ფაუნის სახეობათა, როგორცაა ძველი ბაღები და ა.შ., კონსერვაცია • უნდა მოხდეს მცენარეული საფარის/ადგილისთვის დამახასიათებელი სახეობების არსებული ნაგავსაყრელების დახურვის ადგილებზე
8	ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე	<ul style="list-style-type: none"> • მშენებლობის დაწყებამდე, უნდა მოხდეს მიმდებარე არეალში საზოგადოების ინფორმირება სამშენებლო საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად • უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო უსაფრთხოების ზომები უბედური დაზიანებების თავიდან ასაცილებლად (მაგ., გზებზე სიჩქარის შეზღუდვა, ობიექტების დამიწება) • შესასვლელ პუნქტებში მთავარი გზების გასწვრივ და სამუშაო ადგილებზე გამოიყენებული იქნეს გამაფრთხილებელი ნიშნები • უნდა დამონტაჟდეს სამუშაო მოედნის აღმნიშვნელი ნიშნები, განსაკუთრებით ღამით • უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო უსაფრთხოება სამშენებლო მოედანზე, სამოქალაქო პირთა შეღწევის თავიდან ასაცილებლად • რეგულარული ტექნიკური მომსახურება უნდა ჩატარდეს სატრანსპორტო საშუალებებს და გამოყენებული უნდა იქნეს მწარმოებლის მიერ დამტკიცებული ნაწილები, ტექნიკის გაუმართაობის მწყობრიდან გამოსვლის შედეგად გამოწვეული პოტენციური სერიოზული უბედური შემთხვევების შემცირების მიზნით • მასალების ტრანსპორტირებისას ტვირთი უნდა გადაიხუროს ბრეხენტით • სათანადოდ უნდა მოხდეს მასალების შენახვა და მათთან მოპყრობა, რათა თავიდან აიცილოთ მტკვრის წარმოქმნა • უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო აღმნიშვნელი ნიშნების განთავსება აღდგენილი ზონის, სახიფათო აღჭურვილობისა და სხვა ობიექტებისთვის, განსაკუთრებით ღამის საათებში • უნდა ხდებოდეს გარემოსდაცვითი პარამეტრების პერიოდული მონიტორინგი

№	გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები	პოტენციური შემარბილებელი ღონისძიებების აღწერა
9	შემოსავლის დაბალი დონე / ნარჩენების არაფორმალური შეგროვება (ნარჩენების შემგროვებლები)	<ul style="list-style-type: none"> დაზარალებულ პირთა რაოდენობის დასადგენად უნდა ჩატარდეს კვლევა უნდა ჩატარდეს ტრენინგები ტექნოლოგიების გადაცემისა და შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფილი იქნეს დაზარალებულ პირთა გადამზადება და მათთვის ახალი შესაძლებლობების შექმნა (ფორმალიზაცია) <ul style="list-style-type: none"> სახელისუფლებო ორგანოებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა დაზარალებულ პირთა საარსებო პირობების გაუმჯობესების მიზნით (მაგ.: ჯანმრთელობის დაცვასა და, განათლებაზე ხელმისაწვდომობა)
10	ზემოქმედება ადგილობრივ სოციალურ წყობაზე	<ul style="list-style-type: none"> მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია მოსახლეობას პროექტის მიზნების და საქმიანობის რათა თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობები და ეჭვები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გამოიყენონ დაპირისპირებების გასაღრმავებლად და მომხრეთა მოპოვებისთვის. <ul style="list-style-type: none"> უნდა ჩატარდეს მკაფიო საგანმანათლებლო ხასიათის საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები სამუშაოს დაწყებამდე უნდა მოხდეს პროექტის დასაქმებასთან დაკავშირებული მოთხოვნების სამუშაოთა ვადების გაცნობა
11	ზემოქმედება ადგილობრივ ეკონომიკასა და დასაქმებაზე	<ul style="list-style-type: none"> საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმება, ახალი ეკონომიკური საქმიანობისთვის ახალ ტექნოლოგიებში ტრენინგის შეთავაზებისთვის და, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად მუშახელი დაქირავება უნდა მოხდეს უპირატესად რეგიონიდან და ყურადღება უნდა მიექცეს შრომით უფლებებს; უნდა გაკონტროლდეს ქვეკონტრაქტორების შრომითი პოლიტიკა
12	ნარჩენების განთავსების ობიექტის დახურვა და დახურვის შემდგომი მოვლა	<ul style="list-style-type: none"> უნდა შემუსავდეს დახურვის გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება გარემოსდაცვითი მიზნები კონტროლის (ტექნიკური მახასიათებლების ჩათვლით), სამომავლო მიწათსარგებლობის (როგორც ეს განსაზღვრულია ადგილობრივ თემებთან და სამთავრობო უწყებებთან კონსულტაციის შედეგად), დახურვის გრაფიკის, ფინანსური რესურსებისა და მონიტორინგის ღონისძიებები <ul style="list-style-type: none"> უნდა შეფასდეს, შეირჩეს და გამოყენებულ იქნეს დახურვის მეთოდები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ობიექტის დახურვის-შემდგომ გამოყენებასთან და რომელიც უნდა მოიცავდეს საბოლოო საფარის განთავსებას, რათა მოხდეს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია

№	გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები	პოტენციური შემარბილებელი ღონისძიებების აღწერა
		<ul style="list-style-type: none"> საბოლოო საფარისთვის გამოიყენებული უნდა იქნეს კომპონენტები, რომლებიც შეესაბამება დახურვის შემდგომი გამოყენების და ადგილობრივ კლიმატურ პირობებს. საბოლოო საფარი უნდა უზრუნველყოფდეს გარემოს გრძელვადიან დაცვას ნარჩენების მასალების და მათი კომპონენტების ცოცხალ ორგანიზმებთან პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტის თავიდან აცილების გზით; ნარჩენებში ატმოსფერული ნალექების შეღწევადობის მინიმუმამდე შემცირება და გამონაჟონის შემდგომი წარმოშობის აღკვეთა; აკონტროლეთ ნარჩენებისგან მიღებული აირების მიგრაცია; შეამცირეთ ნარჩენების განთავსების ობიექტის ტექნიკური მომსახურების გრძელვადიანი საჭიროებები. უნდა შემუშავდეს ფინანსური ინსტრუმენტები დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლისა და მონიტორინგის ხარჯების დასადგენად

6.6 სამომავლო ნაბიჯები

სკოპინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, კონსულტანტი განახორციელებს პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (ESIA), გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) ჩათვლით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ESIA) წარიმართება სხვა ამოცანების პარალელურად.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (ESIA) შევა პროექტის სათანადოდ აღწერა, განხილული ალტერნატიული გზები და გარემოსდაცვითი/სამართლებრივი ჩარჩო და საერთაშორისო სტანდარტები. დოკუმენტი შემუშავდება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ამას KfW მოითხოვს.

არსებულ ინფორმაციასთან ერთად, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შედგენის (ESIA) პროცესისას მოპოვებული იქნება აქტუალური და უახლესი ბაზისური ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- ჰაერის ხარისხი: ქვეყანაში შესაბამისი ანალიზების გაკეთების შესაძლებლობის შემთხვევაში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაზომვები განხორციელდება ოთხ (4) ადგილზე, რათა განისაზღვროს NO₂, SO₂, O₃ და H₂S საბაზისო მაჩვენებლები.
- ხმაური: ხმაურის გაზომვები მოხდება საიტის გარშემო სამ (3) ადგილზე და კვირის სამუშაო და არასამუშაო დღის განმავლობაში, რათა დადგინდეს ხმაურის მინიმალური დონე.
- ნიადაგი: ნიადაგის სინჯები აღებული იქნება გეოტექნიკური კვლევის დროს სხვადასხვა ადგილიდან და გაანალიზდება გარემოს დამაბინძურებელ კომპონენტებზე რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად. თითო ჰექტარზე მოხდება 5 სინჯის აღება (ოთხი კუთხეებიდან და ერთი ტერიტორიის ცენტრიდან), შეერევა ერთმანეთს და გაანალიზდება მძიმე მეტალების არსებობის დადგენის მიზნით. ნიადაგის ნიმუშები ასევე აიღება არსებული ნაგავსაყრელის ქვეშ არსებული ადგილებიდან, დაბინძურების შესაძლო დონის დასადგენად.
- მიწისქვეშა წყლები: სინჯები შეგროვდება მიწისქვეშა წყლიდან და, თუ შესაძლებელია, თიხოვანი ფენის ქვეშ მყოფი წყლის ჰორიზონტებიდან, რათა დადგინდეს მიწისქვეშა წყლის ხარისხი #416 და #58 დადგენილებებით განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით. მიწისქვეშა წყლების დონე გაიზომება სამ (3) ადგილას მიწისქვეშა წყლის ნაკადის მიმართულების დასადგენად. მოხდება წყლის ჭაბურღილების გამოკვლევა ობიექტის გარშემო 1 კილომეტრის რადიუსში მათი სიღრმის, წყალშემკრები ჰორიზონტების და გამოყენების დასადგენად.
- ზედაპირული წყალი: ხუთამდე (5) სინჯი იქნება აღებული მდინარე უტორიდან და

გაკეთდება ლაბორატორიული ანალიზი #416 დადგენილების შესაბამისად. ასევე გაიზომება მდინარის ხარჯი (flow). ერთი სინჯის აღება მოხდება სედიმენტებიდან და გაკეთდება ლაბორატორიული ანალიზი. ასევე, თუ შესაძლებელი იქნება, იგეგმება ორამდე სინჯის აღება არსებული ნაგავსაყრელის გამონაჟონიდან და მათი ლაბორატორიული ანალიზი. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოითვლება დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმები მდინარე უტორისთვის შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით

- ბიომრავალფეროვნება: დამადასტურებელი ეკოლოგიური კვლევა ჩატარდება ადგილიდან 1 კილომეტრის დაშორებით, რათა მოხდეს მაღალი კონსერვაციული ღირებულების სახეობების შესაძლო არსებობის დოკუმენტაცია. დეტალური ინფორმაცია იქნება მოპოვებული ფრინველთა გადამფრენი მარშრუტების, სახეობებისა და ნარჩენების განთავსების ობიექტის გამოყენების შესახებ
- სატრანსპორტო მოძრაობა: შემდგომი კოორდინაცია საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს - საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, გაიმართება ESIA-ს მომზადების დროს, რომ დადასტურდეს საავტომობილო გაადადგილების მოცულობა
- მიწის საკუთრება და მიწათსარგებლობა: ჩატარდება მიწის მესაკუთრეთა და მიწათმოსარგებლებების სოციალურ-ეკონომიკური გამოკითხვები ლოკაციის მიმდებარე ნაკვეთებში, მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, შემოსავლისა და საარსებო წყაროების შეფასების მიზნით
- მიწათსარგებლობა: განხორციელდება ნარჩენების განთავსების ობიექტის ადგილიდან 1 კილომეტრის რადიუსში არსებული და დაგეგმილი მიწათსარგებლობის ტიპების დოკუმენტირება (მიწის კლასიფიკაციისა და მიწის საკუთრების უფლებების ჩათვლით)
- ნარჩენების შემგროვებლებთან (არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებული საკითხები, როგორცაა: ა) იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ ნარჩენების შეგროვებას; ბ) რამდენი ადამიანისთვის წარმოადგენს საარსებო წყაროს ნარჩენების შეგროვება; და გ) საარსებო წყაროსა და სოციალური შემწეობის ალტერნატიული საშუალებები
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობა: მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მეტი ინფორმაცია შეგროვდება ჯანდაცვის ობიექტებიდან არსებული მონაცემების საფუძველზე
- გენდერული საკითხები (ნარჩენებისადმი დამოკიდებულებაში რაიმე განსხვავება, ნარჩენებზე პასუხისმგებლობა, შრომის ბაზარზე მონაწილეობა/საარსებო

საშუალებები) გათვალისწინებული იქნება ESIA-ს ანგარიშში.

- მოწყვლადი/დაუცველი ჯგუფები: აღწერილი იქნება დაუცველი ჯგუფების არსებობა და მდგომარეობა დაახლოებით 1 კილომეტრის რადიუსში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6-6 ცხრილში განსაზღვრული ზემოქმედებები შეფასდება მეთოდოლოგიით, როგორც ეს აღწერილია 6.2.3 ნაწილში. ზემოქმედება შეფასდება თვისობრივად, ექსპერტების პროფესიული აზრისა და სხვადასხვა შემარბილებელი ზომების ეფექტიანობის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ყოველი ზემოქმედებისთვის, კონსულტანტმა უნდა გამოიყენოს შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია და შეიმუშაოს შესაბამისი შემარბილებელი პარამეტრები. რათა მინიმუმამდე დაიყვანოს შესაძლო გავლენები. აღნიშნული ნათლად იქნება აღწერილი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ანგარიშსა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში (ESMP). ESMP მოიცავს მონიტორინგის გეგმას, სადაც ზედმიწევნითაა აღწერილი მონიტორინგის ზომები.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (ESIA) მოიცავს პროექტის ყველა ფაზას, მათ შორის: ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესს, მისი დახურვისა და შემდეგი მოვლის ეტაპს, ობიექტის მონიტორინგის გეგმას და აშ. მთავრობის 421-ე დადგენილების შესაბამისად. ნარჩენების განთავსების ობიექტის კატეგორია და ნარჩენების კოდები წარმოდგენილი იქნება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნარჩენების კლასიფიკაციის მიხედვით. ნარჩენების მიღებისა და შემოწმების პროცედურები შესაბამისობაში იქნება არსებულ კანონმდებლობასთან.

KfW-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP), სადაც წარმოდგენილი იქნება სკოპინგის პროცესის შედეგები და საბაზისო სოციალური ინფორმაცია. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან და მასში შეტანილი იქნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) გასაჯაროების და საჩივრების განხილვის მექანიზმები.

გერმანიის განვითარების ბანკი
Entwicklungsbank
Palmengartenstr. 5 – 9
60325 ფრანკფურტი
გერმანია

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
პოლიტოვსკანას ქუჩა N10
0186 თბილისი
საქართველო GEORGIA

ადგილის შერჩევის ანგარიში

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა



14 ოქტომბერი 2016

 INFRASTRUKTUR & UMWELT
Professor Böhm und Partner

Julius-Reiber-Strasse 17
64293 Darmstadt
Germany

www.iu-info.de



Industriestraße 10
84137 Vilsbiburg
Germany

www.sehlhoff.eu



აღმაშენებლის განზიორი
N150
0112 თბილისი
საქართველო

www.rec-caucasus.org



უზნადის ქუჩა N 57
თბილისი 0102
საქართველო

www.pmcg-i.com

სარჩევი

0	რეზიუმე	1
1	შესავალი	8
1.1	სამუშაოს აღწერა/ტექნიკური დავალება	8
1.2	საქართველოში ნარჩენების განთავსების რეგულირების საკანონმდებლო ჩარჩო	9
1.3	შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები	10
2	საბაზისო მონაცემები	12
2.1	ნაგავსაყრელის შემკრები ტერიტორია.....	12
2.2	დაგეგმვის ჰორიზონტი.....	13
2.3	მოსახლეობისა და ტურიზმის პროგნოზი.....	13
2.4	ნარჩენების პროგნოზი.....	14
2.5	ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისთვის საჭირო ტერიტორია.....	16
2.6	ნარჩენების წარმოქმნის ცენტრი.....	17
3	მეთოდოლოგია	18
4	ნაწილი A – ადგილის შერჩევა	19
4.1	პოტენციური ადგილების ინდენტიფიკაცია.....	19
4.2	სავარაუდო ადგილების შერჩევა	23
5	ნაწილი B – სავარაუდო ადგილების შეფასება	27
5.1	სავარაუდო ადგილების დეტალური აღწერა.....	27
5.1.1	სავარაუდო ადგილი CU 01: არსებული ზუგდიდის ნაგავსაყრელი	27
5.1.2	სავარაუდო ადგილი CU 02: ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილი	30
5.2	სავარაუდო ადგილების შეფასება და შედარება.....	33
5.3	დასკვნები და რეკომენდაციები.....	39

დანართები

დანართი 1 ადგილის შერჩევის ანგარიშის პირველი დამატება

ცხრილები

ცხრილი 1	ზუგდიდის ნაგავსაყრელისათვის შემოთავაზებული ადგილის წინასწარი შეფასება	4
ცხრილი 2	აქამდე არსებული ადგილის შერჩევის პროცესის ნაბიჯები და შედეგები.....	6
ცხრილი 3	მოსახლეობის განვითარების პროგნოზი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (დევენილთა ჩათვლით) (2019 – 2038).....	14
ცხრილი 4	ნარჩენების წარმოქმნისა და შეგროვების პროგნოზი (2019 – 2038).....	15
ცხრილი 5	ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისთვის საჭირო ტერიტორია	16
ცხრილი 6	წინასწარ შერჩეული ნაგავსაყრელის ადგილები	21
ცხრილი 7	წინასწარ შერჩეული ადგილების შეჯამება.....	24
ცხრილი 8	სავარაუდო ადგილების მახასიათებლები	33
ცხრილი 9	სავარაუდო ადგილების შედარება	35

ცხრილები/რუკები/ ნახაზები

რუკა 1	შემოთავაზებული ნაგავსაყრელის ადგილის ადგილმდებარეობა	3
რუკა 2	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის შემკრები ტერიტორია	12
ცხრილი 3	მეთოდოლოგია, ნაგავსაყრელის ადგილის შერჩევისათვის	18
რუკა 4	ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისათვის უარყოფითი ტერიტორიების რუკა.....	20
რუკა 5	წინასწარ შერჩეული ნაგავსაყრელის ადგილები დადებით ტერიტორიებზე.....	22
რუკა 6	სავარაუდო ადგილი CU 01: არსებული ზუგდიდის ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობა.....	27
რუკა 7	არსებული ზუგდიდის ნაგავსაყრელის სტატუს-კვო	28
სურათი 8	ზუგდიდის ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენები, გადაფარული მიწის ფენით	29
სურათი 9	სამოვრები ზუგდიდის ნაგავსაყრელის დასავლეთით.....	30
რუკა 10	სავარაუდო ადგილი CU 02: შემოთავაზებული ტერიტორია ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილზე, სოფელ ურტასთან	31
რუკა 11:	ალტერნატიული გზა ნარჩენების ადგილამდე მისასვლელად	32

რუკა 1	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სავარაუდო ადგილების მდებარეობა.....	3
რუკა 2	სოფელ ცაიში თერმული გოგირდოვანი წყლების ადგილმდებარეობა (ლოურჯი დროშით არის გამოსახული) და ზუგდიდის ამჟამინდელი ნაგავსაყრელი (წითელი სამკუთხედი)	5
სურათი 3	სანატორიუმი სოფელ ცაიში 1970/1980 წლებში (მარცხნივ) და დღეს (მარჯვნივ).....	5
სურათი 4	ცაიში თერმული წყლების ფუნქციონირებადი (მარცხნივ) და დალუქული (მარჯვნივ) ჭაბურღილები.....	6
რუკა 5	ადრინდელი განთავსების ადგილი(იასამნისფერი) და ამჟამად გამოყენებული ტერიტორია (მწვანე) ზუგდიდის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე.....	8
რუკა 6	ხობის მუნიციპალიტეტში შემოთავაზებული ნაგავსაყრელის მდებარეობა (მათ შორის შემოთავაზებული მისასვლელი გზა).....	11
სურათი 7	ხობის შემოთავაზებულ ადგილას არსებული მიტოვებული მიწის ნაკვეთები	12
რუკა 8	ნარჩენების ტრანსპორტირება კანდიდატ ადგილებამდე.....	14
ნახაზი 9	ტრანსპორტირების ხარჯები ალტერნატიულ კანდიდატ ადგილებამდე.....	15

აბრევიატურა

ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EU	ევროკავშირი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი
IFC	საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია
ISWM	მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა
IU	INFRASTRUKTUR & UMWELT Professor Böhm und Partner
KfW	KfW Entwicklungsbank (გერმანიის განვითარების ბანკი)
MRDI	
PIU	პროექტის განმახორციელებელი
REC Caucasus	
SWMCG	

0 რეზიუმე

მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობა. ამ მიზნით ახალი ნაგავსაყრელის ადგილის იდენტიფიკაციისთვის ადგილის სისტემური შერჩევის პროცესი განხორციელდა. ადგილის შერჩევის პროცესის შედეგები და ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის შემოთავაზებული ადგილმდებარეობა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისათვის, წარმოდგენილია ნაგავსაყრელისთვის ადგილის შერჩევის ანგარიშში.

რეგიონის სანიტარული ნაგავსაყრელისთვის ნარჩენების შეგროვების შემკრები ტერიტორია მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებს, გარდა აბაშის და მარტვილის მუნიციპალიტეტებისა. ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის ოპერირების პერიოდი მოიცავს 20 წელს. ნარჩენების პროგნოზის შედეგების მიხედვით 1,056,696 ტონა ნარჩენის განთავსევა მოხდება ნაგავსაყრელზე, ამ პერიოდის განმავლობაში. ნაგავსაყრელისთვის მოთხოვნილი ტერიტორია, დამხმარე ნაგებობების ჩათვლთ, შეადგენს 15 ჰა-ს.

ადგილის შერჩევის პროცესი ქართული და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოხდა, მათ შორის:

1. გამოსარიცხი ტერიტორიების რუკის მომზადება - სადაც არ შეიძლება ნაგავსაყრელის მშენებლობა საკანონმდებლო, თუ ტექნიკური აკრძალვების გამო(ნეგატიური რუკა) - ასევე, მომზადდა პერსპექტიული ადგილების რუკა, რომელთა გამოკვლევაც უნდა მოხდეს, რათა მომზადდეს სასურველი ადგილების სია.
2. პერსპექტიული ადგილების შეფასება, რათა საბოლოოდ მოხდეს სასურველი ადგილის შერჩევა. სასურველი ადგილი განხილული იქნება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან ერთად, რათა მიღწეული იქნას კონსენსუსი.
3. სასურველი ადგილის წინასწარი დამტკიცების შემდეგ ჩატარდება უფრო დეტალური კვლევა და მომზადდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ).

ზუგდიდის გარშემო, რომელიც ნარჩენების წარმოქმნის ცენტრია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ჩატარდა ტერიტორიის დარუკება 20 კმ-ის რადიუსში და ასევე, სამხრეთ-აღმოსავლეთით სენაკისა და ფოთის მიმართულებით.

პერსპექტიული ტერიტორიების მიდამოებში ორსაფეხურიანი სკრინინგი ჩატარდა. პირველ ეტაპზე, რუკაზე იდენტიფიცირებული პერსპექტიული ტერიტორიების ინსპექტირება განხორციელდა, შემდეგ კი შეფასდა არსებული ნაგავსაყრელები და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა მიერ შემოთავაზებული ტერიტორიები.

სკრინინგის შედეგად ორი სავარაუდო ადგილი გამოიკვეთა:

- ადგილი 1: ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელი
- ადგილი 2: ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილი სოფელ ურტასთან

ეს ორი ადგილი იქნა შესწავლილი უფრო დეტალურად.

სავარაუდო ადგილების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის ნაგავსაყრელის ტერიტორია უფრო შესაფერისია სანიტარული ნაგავსაყრელისთვის.

სოფელ ურტას მახლობლად მდებარე ადგილის უარყოფითი მხარეები მოიცავს:

თხილის პლანტაციები მოსაზღვრე ტერიტორიებზე, (პლანტაციის მეპატრონემ უკვე გამოთქვა უკმაყოფილება არსებული ნარჩენების განთავსების ადგილთან დაკავშირებით)

მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი ძალიან ახლოს მდებარეობს შემოთავაზებული ადგილთან, ასე რომ მოსალოდნელ კონფლიქტს ვერ გამოვრიცხავთ .

- შემოთავაზებულ ადგილამდე მისასვლელი გზა უნდა გაუმჯობესდეს
- ადგილი შედგება კერძო საკუთრებაში არსებული სხვადასხვა მიწის ნაკვეთებიდან (მიწის ზოგიერთი ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო კომპანიის მფლობელობაშია)

საპირისპიროდ ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის ტერიტორიის უპირატესობანი მოიცავს:

- დასახლებული ტერიტორია ისევე როგორც სხვა მიწათსარგებლობის ადგილებიდან საკმარისად მოშორებულია
- ზედაპირს გააჩნია ბუნებრივი გეოლოგიური ბარიერი (თიხოვანი ნიადაგი, თუმცა მომავალი კვლევა ამ მიმართულებით მაინც საჭიროა)
- არსებული კარგი გზა და ელექტრო ქსელთან მიერთების შესაძლებლობა
- ტერიტორია არის საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის საკუთრებაში

თუმცადა, ნაგავსაყრელზე უკვე განთავსებული ნარჩენების მოსავლელად გარკვეული ძალისხმევა იქნება სჭირო.

2015 წლის ოქტომბერში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კონსულტანტმა რეკომენდაცია გაუწია სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობას არსებული ზუგდიდის ნაგავსაყრელზე, ამავდროულად კონსულტანტი გააგრძლებს კვლევას აღნიშნულ ტერიტორიაზე და დაინტერესებული მხარეების ჩართვას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

2015 წლის ნომებერში დაინტერესებულ მხარეებთან შემოთავაზებული ადგილის განხილვის დროს გუბერნატორის ოფისი არ დაეთანხმა კონსულტანტის რეკომენდაციას და გამოხატა შემდეგი სახის გამოწვევები:

- ნაგავსაყრელის მახლობლად არსებული თიხის საბადო;

- ტურისტული პოტენციალის განვითარება, რომელიც უკავშირდება გოგირდოვანი წყლების არსებობა ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- სათბურების მოწყობის პოტენციალი

ამ მიზეზების გამო, გუბერნატორის ოფისმა პროექტს შესთავაზა ნაგავსაყრელის ალტერნატიული ადგილი, ხობის დახურული ნაგავსაყრელის მახლობლად.

ნაგავსაყრელის ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატებაში, რომელიც წარმოდგენილი იქნა 2016 წლის თებერვალში, აღწერილია შემოთავაზებული ალტერნატიული ადგილი და შედარებულია კონსულტანტის მიერ რეკომენდირებულ ადგილთან, შეფასებულია რამდენად შესაფერისია მათი ადგილმდებარეობა დაგეგმილი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის ასაშენებლად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გუბერნატორის ოფისის მიერ წამოჭრილი პრობლემური საკითხების შეფასებას. შედარებითი ანალიზისა და ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ზუგდიდი არის რეკომენდირებული დაგეგმილი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის ასაშენებლად. ადგილის მდებარეობა ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ რუკაზე.



რუკა 1 შემოთავაზებული ნაგავსაყრელის ადგილის ადგილმდებარეობა ადგილის შეფასების შეჯამება წარმოდგენილია მომდევნო ცხრილში.

ცხრილი 1 შემოთავაზებული ზუგდიდის ნაგავსაყრელის ადგილის წინასწარი შეფასება

კრიტერიუმი	ამჟამინდელი ზუგდიდის ნაგავსაყრელი	
	მონაცემები/ აღწერა	შეფასება
ზომა და ტოპოგრაფია		
	15 ჰა.	+
გავლენა ახლომდებარე საცხოვრებელ ტერიტორიებზე		
გავლენა ახლომდებარე საცხოვრებელ ტერიტორიებზე	~ 0,8 კმ.	-
ნაგავსაყრელამდე მისასვლელი გზა საცხოვრებელი ტერიტორიის მემკვიდრეობით	არა	+
ვიზუალური ზემოქმედება	ზოგიერთი (2 კმშია ზეგავლენისმქონე ტერიტორია)	o
ტურიზმი	გოგირდოვანი წყლები სოფელ ცაიშში	o
კანდიდატი ადგილის მიწის გამოყენება		
სასოფლო-სამეურნეო გამოყენება	არა	+
ბუნებრივი რესურსები (თიხის საბადო)	თვითონ ნაგავსაყრელზე არ არის, მაგრამ არის მოსაზღვრე მიწაზე	o
კონფლიქტური მიწათსარგებლობა მახლობლად		
დასახლების განვითარება	ნაკლებად სავარაუდოა	+
სასოფლო-სამეურნეო გამოყენება	კი, მათ შორის გათვალისწინებულია სათბურების მშენებლობა; თიხის მოპოვების საბადო აღმოსავლეთით	o
სასოფლო-სამეურნეო გამოყენება		
წყალი		
გეოლოგიური ბარიერი	კი	+
ზედაპირული წყლის შემკვრები	დაბალი	+
მოსალოდნელი მიწისქვეშა წყლის დონე	მაღალი	-
ნიადაგის ქვედა ფენაზე მიწისქვეშა წყლის გავლენა	მოსალოდნელია	-
ფლორა/ ფაუნა/ ბიომრავალფეროვნება	შესასწავლია უფრო დეტალურად	

კრიტერიუმი	ამჟამინდელი ზუგდიდის ნაგავსაყრელი	
	მონაცემები/ აღწერა	შეფასება
ადგილის მზადებასა და არსებულ ინფრასტრუქტურასთან კავშირი		
მანძილი ნარჩენების ცენტრამდე		
ზუგდიდი (21,883 ტ/წ)	~ 16 კმ.	+
ფოთი (11.365 ტ/წ)	~ 50 კმ.	-
მისასვლელი გზის სიგრძე, რომელიც უნდა აშენდეს	არა	+
ელექტროენერჯის მიწოდება	ხელმისაწვდომია	+
წყალმომარაგება	არ არის ხელმისაწვდომი, საჭიროა დამატებითი კვლევები	-
ადგილის მომზადება	არსებული ნარჩენების განთავსების ტერიტორიების რეაბილიტაცია	0
ზომები, რათა ფერდობების სტაბილურობა გაიზარდოს	არა	+
არასტაბილურობის რისკი	შესასწავლია უფრო დეტალურად	
მიწის საკუთრება და ხელმისაწვდომობა		
მიწის საკუთრება	საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	+
მიწის კლასიფიკაცია	სამრეწველო	+

უკეთესად გაგებისთვის, შემდეგი ცხრილი ასახავს კონსულტატის მიერ განხორციელებული ადგილის შერჩევის პროცესის ნაბიჯებსა და შედეგებს, ასევე მიუთითებს, შესაბამის სამუშაო ნაბიჯებსა და შედეგებს თუ სად არის აღწერილი/დოკუმენტირებული.

ცხრილი 2 ნასაყრელის ადგილის შერჩევის პროცესის ნაბიჯები და შედეგები

ნაბიჯი №	პერიოდი/ დრო	საქმიანობა	აღწერა/ დოკუმენტაცია
1	ივლისი – ოქტომბერი 2015	ადგილის შერჩევა (მათ შორის 2015 წლის აგვისტოში სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში ადგილზე ვიზიტები)	
		<ul style="list-style-type: none"> საქართველოში ნარჩენების განთავსებისთვის სამართლებრივი ჩარჩოს შეჯამება/კრებული 	ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი: თავი 1.2
		<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების განთავსებისთვის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების შეჯამება/კრებული 	ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი: თავი 1.3
		<ul style="list-style-type: none"> ადგილის შერჩევისთვის შესაბამისი საბაზისო მონაცემების კრებული (ნაგავსაყრელის შემკრები ტერიტორია, დაგეგმვის ჰორიზონტი, მოსახლეობისა და ტურიზმის პროგნოზი, ნარჩენების პროგნოზი, ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისთვის მოთხოვნილი ფართობი) 	ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი: თავი 2
		<ul style="list-style-type: none"> სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში ნაგავსაყრელის შერჩევისთვის მეთოდოლოგიის აღწერა/დაზუსტება 	ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი: თავი 3
		<ul style="list-style-type: none"> ნაწილი A – ადგილის შერჩევა (პოტენციური ადგილების იდენტიფიცირება, სავარაუდო ადგილების შერჩევა) 	ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი: თავი 4
		<ul style="list-style-type: none"> ნაწილი B – სავარაუდო ადგილების შეფასება (სავარაუდო ადგილების დეტალური აღწერა, სავარაუდო ადგილების შედარება და შეფასება, დასკვნები და რეკომენდაციები) 	ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი: თავი 5
2	აღწერა/ დოკუმენტაცია	ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტის წარდგენა	
3	ნოემბერი 2015	სავარაუდო ადგილების პრეზენტაცია და განხილვა პროექტის შესაბამისი დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მათ შორის ადგილზე ვიზიტები; წინასწარ შერჩეული სავარაუდო ადგილებზე საბოლოოდ უარის თქმა პროექტის შესაბამის დაინტერესებული მხარეების მიერ	
4	ნოემბერი 2015	ალტერნატიული სავარაუდო ადგილების შემოთავაზება (ხობი) სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონის გუბერნატორის ადმინისტრაციისა და საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ;	

ნაბიჯი №	პერიოდი/ დრო	საკმიანობა	აღწერა/ დოკუმენტაცია
5	იანვარი – თებერვალი 2016	შემოთავაზებული ალტერნატიული სავარაუდო ადგილის შეფასება (მათ შორის 2016 წლის იანვარში სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში ადგილზე ვიზიტები)	
		<ul style="list-style-type: none"> ადგილის შერჩევისთვის შესაბამისი საბაზისო მონაცემების განახლება (ნაგავსაყრელის შემკრები ტერიტორია, დაგეგმვის ჰორიზონტი, მოსახლეობისა და ტურიზმის პროგნოზი, ნარჩენების პროგნოზი, ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისთვის მოთხოვნილი ფართობი) ნაწილი B – სავარაუდო ადგილების შეფასება (შემოთავაზებული სავარაუდო ადგილების აღწერა, სავარაუდო ადგილების შეფასება და შედარება, დასკვნები და შემდგომი ნაბიჯები) 	ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი: თავი 2
6	თებერვალი 2016	ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი პირველი ცვლილების წარდგენა	
7	სექტემბერი 2016	<p>ნაგავსაყრელის წინასწარშერჩეული ადგილის წარდგენა და დისკუსია დაგეგმვით სამუშაო შეხვედრაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ნაგავსაყრელის შერჩეულ ადგილზე შეთანხმება, როგორც რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელისთვის შემოთავაზებულ ტერიტორიაზე. 	პროექტის დაგეგმვის შეხვედრის ანგარიში
8	ოქტომბერი 2016	ადგილის შერჩევის ანგარიშის წარდგენა, მათ შორის დამატება	

1 შესავალი

გერმანიის განვითარების ბანკი (KfW) მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას ქვეყანაში ნარჩენების მართვის გაუმჯობესებაში. შეთანხმება მიღწეული იქნა მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების მომზადებაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც ნარჩენების განთავსების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, ასევე რესურსების აღდგენასა და ნარჩენების რევალორიზაციას. პროექტის პარტნიორს ქართული მხრიდან წარმოადგენს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, რომელიც დაარსდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2012 წელს, ქვეყანაში ნაგავსაყრელების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

გერმანული საკონსულტაციო კომპანია Infrastruktur & Umwelt (IU), Sehlhoff GmbH, REC Caucasus და PMCG შეირჩა საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად ამ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების შესამუშავებლად.

მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობა. ამ მიზნის მისაღწევად, ახალი ადგილის იდენტიფიცირებისთვის ჩატარდა ადგილის სისტემური შერჩევის პროცესი. ადგილის შერჩევის პროცესის შედეგები და ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის შემოთავაზებული ადგილმდებარეობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისათვის წარმოდგენილია ნაგავსაყრელისათვის ადგილის შერჩევის ანგარიშში.

1.1 სამუშაოს აღწერა/ტექნიკური დავალება

ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების კვლევის მიზანია მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის განვითარება მუნიციპალური ნარჩენების მართვის სრული სპექტრის გათვალისწინებით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, რომელიც შემუშავებული იქნება შემდეგ სამ ეტაპად:

1. კონცეპტუალური დაგეგმვა,
2. პროექტის დაგეგმვის სამუშაო შეხვედრა
3. ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების კვლევა

პროექტის პირველი ფაზისა და კონცეპტუალური დაგეგმვის ფაზის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა - მისაღები ადგილების შერჩევა სანიტარული ნაგავსაყრელის განთავსებისათვის.

ტექნიკური დავალების შესაბამისად პროექტის ადგილის შერჩევის ანგარიში ასახავს:

- ადგილის შესარჩევ მოთხოვნებს, ადგილის შერჩევის განსაზღვრებას და შერჩევის კრიტერიუმებს;
- სისტემატური კვლევის პროცესს, ნაგავსაყრელისათვის წინასწარი შესაფერისი მდებარეობის ტერიტორიების იდენტიფიცირების და საზღვრების დადგენის და ლიმიტების განსაზღვრის ჩათვლით

- პოტენციური ადგილების შერჩევას
- ალტერნატიული ადგილების შედარებითი შეფასება ტექნიკური, ფინანსური, გარემოსდაცვითი და ხელმისაწვდომობის ასპექტების თვალსაზრისით
- წინადადების მომზადება შესაფერისი ადგილის (ადგილების) და ოპერირების პერიოდის უხეში შეფასებით.

ადგილის შერჩევის შდეგები წარდგენილი და შეთანხმებული იყო სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებზე.

1.2 საქართველოში ნარჩენების განთავსების რეგულირების საკანონმდებლო ჩარჩო

2014 წლის 26 დეკემბერს მიღებულ იქნა „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის იანვარში. კოდექსი შემუშავდა ევროკავშირის ტვინინგის პროგრამის დახმარებით და მეტწილად შესაბამისობაშია ევროკავშირის მოთხოვნებთან.

კოდექსი განსაზღვრავს ნაგავსაყრელის კატეგორიებს, აწესებს მოთხოვნებს ნაგავსაყრელების მშენებლობის, ექსპლუატაციის, დახურვის და რეაბილიტაციისათვის და სპეციალური მოთხოვნებს არსებულ ნაგავსაყრელზე. ამ დებულების მიხედვით ნაგავსაყრელის შემდეგი კატეგორიები არსებობს:

- სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი,
- არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი,
- ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი.

2015 წლის 11 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ მიიღო N421 დადგენილება „ნაგავსაყრელების მშენებლობის, ოპერირების დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“. ამ დადგენილების მე-9 პუნქტი არეგულირებს ახალი ნაგავსაყრელის მოწყობის შემდეგ დეტალებს:

1. აკრძალულია ნაგავსაყრელის მოწყობა სანიტარული დაცვის პირველ და მეორე ზონაში და წყალდაცვით ზოლებში
2. მანძილი საცხოვრებელი სახლებიდან ნაგავსაყრელის საზღვრებამდე უნდა იყოს არანაკლებ 500 მეტრი
3. არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი დაშორებული უნდა იყოს აეროდრომიდან სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) მოთხოვნების შესაბამისად
4. ნაგავსაყრელისთვის ადგილის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:
 - წყალმოვარდნის, ნიადაგის დაწვევის, მეწყერებისა ან ზვავების საშიშროება
 - გეოლოგიური და ჰიდრო-გეოლოგიური პირობები
 - ზედაპირული წყლების დაბინძურების საშიშროების, დაცული ტერიტორიების, ბუნების ან კულტურის ძეგლების არსებობა

5. ნაგავსაყრელის ტერიტორია და მოცულობა განისაზღვრება შემდეგი მონაცემების მიხედვით:

- შერჩეული ტერიტორიის ტოპოგრაფიული, საინჟინრო, გეოლოგიური, ჰიდრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები
- ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების სახეობა, რაოდენობა და შემადგენლობა
- პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ნაგავსაყრელი აქტიურად მიიღებს ნარჩენებს

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის # 421 მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ნაგავსაყრელის კატეგორიები და ნარჩენების ტიპები
- ნაგავსაყრელის ლიცენზიის გაცემის პროცედურა
- ნაგავსაყრელების მშენებლობისა და მოწყობა ტექნიკური სტანდარტები (მათ შორის ჩაუონილი წყლები და ნაგავსაყრელის გაზის მართვა)
- მოთხოვნები ნაგავსაყრელების ოპერირებისა და შენარჩუნებისათვის
- მოთხოვნები ნაგავსაყრელების ოპერირებისა და შენარჩუნებისათვის
- ნაგავსაყრელების დახურვა და ტერიტორიის შემდგომი მოვლა

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 42-ე დადგენილება საუბრობს მინიმალურ დაშორებაზე 500 მეტრის ოდენობით საცხოვრებელი სახლებიდან. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი პოტენციური ადგილი უნდა გამოირიცხოს იმის გამო რომ ერთი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია ამ ადგილიდან 500 მეტრზე ნაკლებ მანძილზე.

1.3 შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები

ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისთვის საიტის შერჩევის ზოგადი მოთხოვნები გათვალისწინებულია ევრო დირექტივებზე დაფუძნებით (დირექტივა 1999/31/EC და საბჭოს გადაწყვეტილება 2003/33/EC). საბჭოს გადაწყვეტილების 1999/31/EC პირველი დანართის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების პროცესის საფუძვლად განისაზღვრება შემდეგი სახის მოთხოვნები:

- ადგილის საზღვრების დისტანცია რეკრეაციულ და საცხოვრებელ ადგილებამდე, წყლის ობიექტებამდე და სხვა სასოფლო ან არასასოფლო ადგილებამდე;
- გრუნტის წყლების არსებობა, სანაპირო წყლების ან დაცული ტერიტორიების ადგილები;
- გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მდგომარეობა;
- წყალდიდობის, გრუნტის დაწვეის, მეწყერის ან ზვავის რისკები; და
- წყალდიდობის, გრუნტის დაწვეის, მეწყერის ან ზვავის რისკები.

სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობაზე შეიძლება გაიცეს ნებართვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საიტის მარკენებლები გვიჩვენებს რომ ნაგავსაყრელის არსებობა არ შექმნის სერიოზულ გარემოსდაცვით რისკს ზემოხსენებული მოთხოვნების გათვალისწინებით და სათანადო ზომები იქნება გატარებული.

კონსულტანტი ასევე გაითვალისწინებს ევროკავშირის მოთხოვნებს სანიტარული ნაგავსაყრელის დიზაინისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების დროს.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას შემუშავებული აქვს სამრეწველო სექტორის გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს ნარჩენების მართვის ობიექტების სახელმძღვანელო პრინციპებს (IFC-ის გარემოსდაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო დოკუმენტი 10 დეკემბერი, 2007). საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სახელმძღვანელო დოკუმენტები ასევე განსაზღვრავენ მოთხოვნებს ნაგავსაყრელის ადგილის შესარჩევად და აღნიშნული სახელმძღვანელოები გამოყენებული იქნა ადგილის შერჩევის პროცესში.


2 საბაზისო მონაცემები

საბაზისო მონაცემები მეტწილად აღებულია სტატუს-კვო ანგარიშიდან, რომელიც ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შეფასების კონტექსტში შემუშავდა 2015 წლის სექტემბერში.

2.1 ნაგავსაყრელის შემკრები ტერიტორია

საქართველოს სანიტარული ნაგავსაყრელების ეროვნული გეგმის მიხედვით შემოთავაზებულია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სანიტარული ნაგავსაყრელისთვის შემკრებმა ტერიტორიამ უნდა მოიცვას მთელი რეგიონი.¹ რეგიონში სატრანსპორტო მანძილებისა და დროების შედარების საფუძველზე, რეკომენდირებულია, რომ აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტები უნდა იყოს დაკავშირებული იმერეთის სანიტარულ რეგიონულ ნაგავსაყრელთან, რომლის პროექტი ახლა ხორციელდება, გადამტვირთი სადგურის მეშვეობით, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში აშენდება (იმერეთის რეგიონი).²

მომდევნო რუკა გვიჩვენებს ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისთვის გათვალისწინებულ შემკრებ ტერიტორიას, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთის ყველა მუნიციპალიტეტს ფარავს, გარდა აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებისა.



რუკა 2 სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის შემკრები ტერიტორია

¹ INFRASTRUKTUR & UMWELT et al.: საქართველოს რესპუბლიკა – ეროვნული სამაგისტრო გეგმა სანიტარული ნაგავსაყრელებისთვის; 2013 წლის თებერვალი; გვ. 48

² დეტალური ინფორმაცია ტრანსპორტირების მანძილებისა და მარშრუტებზე ნაჩვენებია ნახაზ 8-ზე

ნაგავსაყრელის შემკრები ტერიტორიის შესახებ დეტალური ინფორმაცია გაერთიანდა სტატუს-კვო ანგარიშში, რომელიც წარედგინა 2015 წლის 22 სექტემბერს.³

2.2 დაგეგმვის ჰორიზონტი

პროექტის დიზაინის თანახმად, გათვალისწინებულია, რომ მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემა ოპერირებას დაიწყებს 2019 წლიდან. ასევე მოსალოდნელია, რომ ნაგავსაყრელის აშენება დასრულდება 2019 წელს. ნაგავსაყრელის საექსპლუატაციო პერიოდი კი 20 წელს მოიცავს 2019 – 2038 წლებს.

2.3 მოსახლეობისა და ტურიზმის პროგნოზი

პროექტის 20 წლიანი დაგეგმვის პერიოდისათვის (2019 – 2038) მომზადდა მოსახლეობის პროგნოზი რომელიც ეფუძნება:

- მოსახლეობის რაოდენობის არსებულ მონაცემებს 2015 წლისათვის, რომელიც ასახავს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარ შედეგებს⁴
- მოსახლეობის დინამიკას, 2002 – 2014 წლებისთვის,⁵ ასევე ვარაუდობენ რომ დაგეგმვის პერიოდის ბოლომდე მოსახლეობის შემცირების ტენდენცია იკლებს, კერძოდ, ქალაქში ყოველ წლიურად 0.1 %-ით და სოფლის დასახლებებში ყოველ წლიურად 0.05%-ით
- პროექტის ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილთა მონაცემებს,⁶ ვარაუდობენ რომ დევნილთა დემოგრაფიული განვითარება იგივე იქნება, რაც ადგილობრივი მოსახლეობის შემთხვევაში.

რაც შეეხება ტურიზმის განვითარებას, ნავარაუდებია რომ ტურისტებისათვის ღამის თევის ადგილების რაოდენობა 2019 წლამდე ყოველ წლიურად 3%-ით, 2024 წლამდე ყოველწლიურად 2%-ით და დაგეგმვის ჰორიზონტის ბოლომდე ყოველწლიურად 1%-ით გაიზრდება.

შემდეგი ცხრილი დაგეგმვის ჰორიზონტისთვის, პროექტის ტერიტორიაზე მოსახლეობის განვითარების პროგნოზს გვიჩვენებს.

3 INFRASTRUKTUR & UMWELT et.al.: სტატუს კვო ანგარიში – საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა; 2015 წლის სექტემბერი; განსაკუთრებით თავი 3, გვ. 22

4 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმართველი ერთეულების მიხედვით 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი); <http://www.geostat.ge>

5 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმართველი ერთეულების მიხედვით 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი); <http://www.geostat.ge>

6 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო: დევნილთა სტატისტიკა – რეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობა – სტატისტიკა რეგიონების მიხედვით (17.09.2014); <http://mra.gov.ge/eng/static/55>

ცხრილი 3 მოსახლეობის განვითარების პროგნოზი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (დევენილთა ჩათვლით) (2019 – 2038)

ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულები	მოსახლეობა (დევენილთა ჩათვლით)		
	2019	2029	2038
ქალაქი ზუგდიდი	56,733	47,246	43,700
ზუგდიდის (სოფლის) მუნიციპალიტეტი	82,781	66,011	56,247
ქალაქი ფოთი	50,653	50,664	55,177
მესტიის მუნიციპალიტეტი	9,543	7,861	6,968
სენაკის მუნიციპალიტეტი	45,488	40,863	39,713
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	22,964	19,978	18,529
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	31,710	25,909	22,756
ხობის მუნიციპალიტეტი	32,086	27,913	25,886
სულ სამეგრელო-ზემო სვანეთის ნაგავსაყრელის შემკრები ტერიტორია	331,958	286,445	268,975
<i>აბაშის მუნიციპალიტეტი</i>	<i>23,399</i>	<i>20,922</i>	<i>19,961</i>
<i>მარტვილის მუნიციპალიტეტი</i>	<i>34,246</i>	<i>29,982</i>	<i>27,954</i>
სულ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი	389,603	337,349	316,890

ტურისტების ღამის თევის ადგილების რაოდენობის პროგნოზი პროექტის ტერიტორიაზე ასე გამოიყურება :

- 376,444 ღამის თევის ადგილი 2019 წლისათვის
- 436,826 ღამის თევის ადგილი 2029 წლისათვის
- 477,750 ღამის თევის ადგილი 2038 წლისათვის

2.4 ნარჩენების პროგნოზი

მომავალი ნარჩენების რაოდენობის წარმოქმნის პროგნოზი მომზადდა მყარი ნარჩენების მართვის ახალი სისტემის განვითარებისთვის. ნარჩენების პროგნოზი ძირითადად მოსახლეობის ზრდაზეა დამოკიდებული, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა ფაქტორებსაც, გათვალისწინებული უნდა იყოს ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები (მაგ. ტურიზმთან დაკავშირებით) ან სამომხმარებლო ჩვევები. გამომდინარე იქედან, რომ შეუძლებელია ზუსტად იქნას გათვლილი სამომავლო განვითარების დეტალები პროექტის დაგეგმვის პერიოდისათვის, ახალი სისტემა საკმარისად მოქნილი უნდა იყოს, რომ შეესაბამებოდეს მოსალოდნელ ცვლილებებს და ნარჩენების წარმოქმნის რაოდენობასთან დაკავშირებულ რყევებს.

შემდეგი ცხრილი პროექტის ტერიტორიისთვის, პროექტის დაგეგმვის პერიოდში, ნარჩენების წარმოქმნასა და შეგროვების პროგნოზს აჯამებს.

ცხრილი 4 ნარჩენების წარმოქმნისა და შეგროვების პროგნოზი (2019 – 2038)

წელი	სულ წარმოქმნილი ნარჩენები	სულ შეგროვებული ნარჩენები
	[მგ/წ]	[მგ/წ]
2019	67,151	48,571
2020	65,990	49,183
2021	64,906	49,805
2022	63,895	50,441
2023	62,955	51,092
2024	62,084	51,761
2025	61,275	52,446
2026	60,530	52,564
2027	59,846	52,711
2028	59,223	52,889
2029	58,659	53,097
2030	58,151	53,336
2031	57,700	53,606
2032	57,304	53,908
2033	56,962	54,243
2034	56,673	54,611
2035	56,437	55,013
2036	56,254	55,450
2037	56,122	55,924
2038	56,042	56,042
ჯამი	1,198,158	1,056,696

პროექტის პერიოდის განმავლობაში დაგროვილი ნარჩენების რაოდენობა 1,056,696 მგ.⁷ მაშინაც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ ნარჩენების გარკვეული ნაწილი გადამუშავებასა და კომპოსტირებას დაექვემდებარება და არა ნაგავსაყრელზე განთავსებას, სანიტარული ნაგავსაყრელისთვის და დამხმარე ნაგებობებისთვის მოთხოვნილი ტერიტორიის შეფასებისთვის კონსულტანტი დაეყრდნობა კუმულირებულ შეგროვებულ ნარჩენების რაოდენობას.

⁷ გადაწყვეტილება, ფოთი იქნება თუ არა პროექტის შემკრები ტერიტორიის ნაწილი უნდა იქნას მიღებული რაც შეიძლება სწრაფად.

2.5 ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისთვის საჭირო ტერიტორია

სანიტარული ნაგავსაყრელისთვის საჭირო საბაზისო ტერიტორიის შერჩევისას საჭიროა შემდეგი ასპექტების გათვალისწინება, როგორცაა

- ნარჩენების განთავსების ტერიტორია,
- ადმინისტრაციული შენობა და სახელოსნო,
- ტრანსპორტის სამომრათ ტერიტორიები,
- შემოღობილი ტერიტორიის შიგნით ბუფერული ზონები,
- დამატებითი ნაგებობები, როგორცაა ნარჩენების დასახარისხებელი და გადამამუშავებელი ნაგებობა.

გარდა ამისა, უკვე არსებული ნაგავსაყრელის ადგილებზე შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ტერიტორიები, სადაც უნდა იქნას გადატანილი უკვე არსებული ნარჩენები.

შემდეგი დაშვებების პირობებში მოხდა სანიტარული ნაგავსაყრელის მოცულობისა და ზომის მიახლოებითი დაგეგმვა:

- ნაგავსაყრელის საექსპლუატაციო პერიოდი 20 წელს მოიცავს 2017 წლიდან.
- მარტივი დაშვება: 1 მეგაგრამი ნარჩენი = ნაგავსაყრელის მოცულობის 1 მ³-ს, ნაგავსაყრელის საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში.
- შუალედური ნიადაგის საფარისთვის ნარჩენების მოცულობის 10% -ია განსაზღვრული
- პირველი დაშვებით 20მ-ის სიმაღლეა ნავარაუდები (ფერდობების გრადიენტი არის 1:3).
- 20,000 მ² ნარჩენების გადამამუშავება განიხილება.
- დამატებითი ტერიტორიები, სადაც უნდა იქნას გადატანილი უკვე არსებული ნარჩენები

შემდეგი ცხრილი აჯამებს სანიტარული ნაგავსაყრელისთვის საჭირო საერთო ტერიტორიას.

ცხრილი 5 ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისთვის საჭირო ტერიტორია

ფუნქცია	ზომა
ნარჩენების განთავსების ტერიტორია (არსებული ნარჩენების რაოდენობის ჩათვლით)	8.5 ჰა.
შესასვლელი, ადმინისტრაციული და სოციალური შენობები, შიდა გზები, სახელოსნო, პარკირების ადგილი, ჩამონადენი წყლების დამამუშავებელი და შეგროვების ადგილი	3 ჰა.
პოტენციური გადამამუშავება და ნარჩენების რეციკლირება	2 ჰა.
გადასაფარი მასალების საწყობი	1.5 ჰა.
საერთო ჯამში საჭირო ადგილი	15 ჰა.

ამ ვარაუდებზე დაყრდნობით, ნაგავსაყრელის სულ 20 წლიანი საექსპლუატაციო პერიოდისათვის მოთხოვნილი ფართობი განისაზღვრა 15 ჰექტარით. აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნა ეხება მხოლოდ ნაგავსაყრელისათვის საჭირო ტერიტორიას უშუალოდ, მაგრამ არა ე.წ. „ზონას, სადაც არაფრის გაკეთება არ შეიძლება“, როგორც ნაგავსაყრელის ირგვლივ არსებული ბუფერული ზონა, სადაც არ შეიძლება იყოს განთავსებული საცხოვრებელი სახლი.

2.6 ნარჩენების წარმოქმნის ცენტრი

ნაგავსაყრელი მოემსახურება შემკრებ ტერიტორიას, რომელიც ნაჩვენებია რუკა 2

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის შემკრები ტერიტორია

, მაგ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებისა. ქ. ფოთის სტატუსი ჯერ გარკვეული არ არის.


შემკრები ტერიტორიის ფარგლებში, ნარჩენების რაოდენობის წარმოქმნა და შეგროვება ყველაზე მაღალი არის ქ. ზუგდიდში, შემდეგ მოდის ზუგდიდის რაიონის მუნიციპალიტეტი და სენაკის მუნიციპალიტეტი. ასევე ქ. ფოთი არის მნიშვნელოვანი ნარჩენების წარმოქმნის ცენტრი. შესაბამისად საკვლევი ტერიტორია ფარავს ტერიტორიებს, რომლებსთვისაც ადვილად ხელმისაწვდომია, როგორც ზუგდიდი, ასევე ფოთი.

3 მეთოდოლოგია

შესაბამისი ნაგავსაყრელის ადგილის შერჩევა სამ ნაწილადაა დაყოფილი, კერძოდ:

- A ადგილის შერჩევა
- B შესაფერისი ადგილების შეფასება
- C ადგილის დეტალური გამოკვლევა

როგორც შემდეგ ცრილშია წარმოდგენილი.



ცხრილი 3 მეთოდოლოგია, ნაგავსაყრელის ადგილის შერჩევისათვის

ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისთვის საჭირო ტერიტორიის გაანგარიშებაზე დაყრდნობით, პოტენციურ ადგილების შესარჩევად 15 ჰექტარი ფართობის ტერიტორიაა საჭირო, რათა უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი სივრცე, ასევე მოგვიანებით ნაგავსაყრელის გაფართოება და გადამამუშავებელი ნაგებობის განთავსება.

4 ნაწილი A – ადგილის შერჩევა

4.1 პოტენციური ადგილების ინდენტიფიკაცია


ადგილის შესარჩევად დადგინდა ქალაქ ზუგდიდის (ნარჩენების წარმოქმნის ცენტრი) გარშემო 20 კმ. რადიუსის მქონე ტერიტორია.

ადგილის შერჩევის პროცედურის პირველ საფეხურზე აერო ფოტოებზე დაყრდნობით მოხდა დარუკება, რითაც განისაზღვრა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისათვის პოტენციურად შესაფერისი ტერიტორიები. ეს პროცედურა ასევე აღწერილია, როგორც უარყოფითი დარუკება.

რუკაზე დატანების მიდგომა იყენებს კრიტერიუმს, რათა გამოირიცხოს ის ტერიტორიები, რომლებიც გამოვლინდა, როგორც ნაგავსაყრელის მიზნებისათვის არა შესაფერისი. აღმოფხვრის პროცესის მეშვეობით, დარჩენილი ტერიტორიები განსაზღვრულია, როგორც ნაგავსაყრელის ადგილის განვითარებისთვის პოტენციურად განკუთვნილი ტერიტორიები. მთავარი გასმოარიცხი კრიტერიუმები:

- ტერიტორია დასახლებების/საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს (კანონმდებლობა მოითხოვს 500 მ-ის დაშორებით)
- ტერიტორია მიწათსარგებლობის ისეთ ადგილებთან ახლოს, რომელთა სიახლოვეს დაუშვებელია ნარჩენების განთავსება, როგორცაა აეროპორტები (საერთაშორისო კანონმდებლობა მოითხოვს, 3,000 მ მანძილის აეროპორტებამდე)
- ეკოლოგიურად მგრძობიარე ტერიტორიები (დაცული ტერიტორიები)
- ძირითადი მდინარეების ჭალები
- მგრძობიარე ისტორიული ტერიტორიები (ძეგლები)
- ტერიტორიები შორ მანძილზე სამომხრათ ტრასით (საგზაო ქსელი)
- ტერიტორიები, სადაც ხდება მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოება
- ტერიტორიები არასასურველი ტოპოგრაფიული პირობებით (ციცაბო ფერდობები, ხეობები და ა. შ.)

შემდეგი რუკა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისთვის ადგილის შერჩევისთვის უარყოფით ტერიტორიებს გვიჩვენებს.




რუკა 4 ახალი სანიტარული ნაგავსაყრელისათვის უარყოფითი ტერიტორიების რუკა

სივრცითი მოწყობა და დასახლებული სტრუქტურების არსებობა ადგილის შერჩევისას გამორიცხავს დიდ ტერიტორიებს. წინასწარ შერჩეული ნაგავსაყრელის ყველა ადგილი ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში.

ცხრილი 6 წინასწარ შერჩეული ნაგავსაყრელის ადგილები

კოდი	მუნიციპალიტეტი	ადგილმდებარეობა		კომენტარები
		განედი	გრძედი	
ამჟამად გამოყენებული ნაგავსაყრელების ადგილები				
CU 01	ზუგდიდი	42°24'25.23"N	41°46'2.03"E	ამჟამინდელი ნაგავსაყრელი ზუგდიდში
CU 02	ზუგდიდი	42°26'44.34"N	41°51'24.81"E	ნარჩენების განთავსების ადგილი ზუგდიდში(ურტა)
CU 03	ფოთი	42°11'48.33"N	41°39'55.62"E	ამჟამინდელი ნაგავსაყრელი ფოთში
დახურული ნაგავსაყრელი ადგილები				
CL 01	ხობი	42°18'48.98"N	41°50'17.47"E	დახურული ნაგავსაყრელი ხობში
CL 02	სენაკი	42°13'57.31"N	42° 2'12.94"E	დახურული ნაგავსაყრელი სენაკში
პოტენციური ნაგავსაყრელის ადგილები, შემოთავაზებულია მესამე მხარის მიერ				
PO 01	ზუგდიდი	42°32'43.23"N	41°52'24.64"E	ტერიტორია, რომელიც შემოთავაზებულია ნარჩენების შეგროვების კომპანიის ზუგდიდის ოფისის მიერ
პოტენციური ნაგავსაყრელის ადგილები, განსაზღვრულია კონსულტანტის მიერ				
PL 01	ზუგდიდი	42°37'28.83"N	41°59'10.69"E	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ
PL 02	ზუგდიდი	42°35'2.63"N	41°56'39.99"E	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ
PL 03	ზუგდიდი	42°24'45.21"N	41°48'30.68"E	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ
PL 04	ზუგდიდი	42°29'40.36"N	41°44'30.87"E	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ
PL 05	სენაკი	42°18'56.28"N	42° 0'58.83"E	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ

ქვემოთ მოცემული რუკა წინასწარ შერჩეული ნაგავსაყრელის ადგილების ადგილმდებარეობას გვიჩვენებს.



რუკა 5 წინასწარ შერჩეული ნაგავსაყრელის ადგილები დადებით ტერიტორიებზე

4.2 სავარაუდო ადგილების შერჩევა

2015 წლის სექტემბრის დასაწყისში განხორციელდა სავარაუდო ადგილები აეროგადაღებებზე დაფუძნებული რუკების დასაზუსტებლად და ასევე, დეტალური ადგილის შერჩევის განსახორციელებლად ჩატარდა წინასწარ შერჩეული ადგილების კვლევა და შეფასება ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის ადგილების ვარგისიანობასთან დაკავშირებით.

გამოსაკვლევი ტერიტორიის დასახლების სტრუქტურის ანალიზის შედეგად გამოირიცხა წინასწარ შერჩეული ადგილების უმეტესობა.

სავარაუდო ადგილის სრული შედეგები წარმოდგენილია მომ დევნო ცხრილში.

ცხრილი 7 წინასწარ შერჩეული ადგილებისათვის დასკვნების შეჯამება

	CU 01	CU 02	CU 03	CL 01	CL 02	PO 01	PL 01	PL 02	PL 03	PL 04	PL 05
	ზუგდიდის ნაგავსაყრელი (ზუგდიდი)	ნარჩენების განთავსების ადგილი ურტა (ზუგდიდი)	ფოთის ნაგავსაყრელი (ფოთი)	ხობის დახურული ნაგავსაყრელი (ხობი)	სენაკის დახურული ნაგავსაყრელი (სენაკი)	ზუგდიდის ნარჩენების შერჩევის კომპანიის მიერ შემოთავაზებული ადგილი (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (სენაკი)
ადგილმდებარეობა	დაახლოებით 15 კმ სამხრეთ ზუგდიდიდან სამხრეთ-დასავლეთით და 15 კმ ხობიდან ჩრდილო დასავლეთით 1 კმ სოფელ საკუკავოდან დასავლეთით; მდებარეობს ყოფილი თიხოვანი ტორფნარის ადგილას; შემოფარგულია სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენებული ტერიტორიით (სახნავ-სათესები და სამოვრები	დაახლოებით 9 კმ ზუგდიდიდან სამხრეთით და დაახლოებით 2 კმ სოფ ურტადან ჩრდილოეთით; თხილის პლანტაციებითაა გარშემორტყმული; მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი გადის ტერიტორიის მახლობლად	დაახლოებით 6 კმ ფოთიდან ჩრდილოეთით მდ. რიონის ნაპირას, მდინარის დელტასთან ახლოს გარშემორტყმულია ინდუსტრიული და კომერციული ზონებით	ხობის დასავლეთით დაახლოებით 5.5 კმ ში N1 ეროვნული მნიშვნელობის ტრასის მახლობლად	სენაკის სამხრეთით 4 კმზე და სენაკის საჰაერო ბაზის სამხრეთით	ქ. ზუგდიდის ჩრდილოეთით სოფელ რუხსა და ნაწულუკუს შორის	ქ. ზუგდიდის ჩრდილოეთით, სოფელ ჩხორიას ჩრდილოეთით	ქ. ზუგდიდის ჩრდილოეთით, სოფელ ზედა ეწერის აღმოსავლეთით	ქ. ზუგდიდის სამხრეთით, სოფელ ცაცხვილის სამხრეთ აღმოსავლეთით, სოფელი საკუკავოს ჩრდილო-აღმოსავლეთით	ქ. ზუგდიდის სამხრეთ აღმოსავლეთით, სოფელ კახის დასავლეთით და სოფელ კოკის აღმოსავლეთით	სენაკის ჩრდილოეთით, სოფელ საგაბისკირიოს აღმოსავლეთით
ზომა	15 ჰა.	25 ჰა.	4.6 ჰა.	1 ჰა, პოტენციური გაფარებით 5 ჰა-მდე	დაახლოებით 1 ჰა.	დაახლოებით 15 ჰა.	დაახლოებით 20 ჰა.	დაახლოებით 30 ჰა.	დაახლოებით 15 ჰა.	დაახლოებით 15 ჰა.	დაახლოებით 25 ჰა.
მანძილი საცხოვრებელ სახლებამდე	> 500 მ.	> 500 მ.	> 500 მ.	> 500 მ.	> 500 მ.	< 500 მ.	< 500 მ.	< 500 მ.	< 500 მ.	< 500 მ.	> 500 მ.
ტრანსპორტირების მანძილი (ნარჩენების წარმოქმნის ცენტრიდან თელავიდან)	დაახლოებით 15 კმ.	დაახლოებით 6.5 კმ.	დაახლოებით 60 კმ.	დაახლოებით 30 კმ.	დაახლოებით 48 კმ.	დაახლოებით 12 კმ.	დაახლოებით 19 კმ.	დაახლოებით 14 კმ.	დაახლოებით 18 კმ.	დაახლოებით 12 კმ.	დაახლოებით 50 კმ. (სენაკი-ლესელიძის გზა)

	CU 01	CU 02	CU 03	CL 01	CL 02	PO 01	PL 01	PL 02	PL 03	PL 04	PL 05
	ზუგდიდის ნაგავსაყრელი (ზუგდიდი)	ნარჩენების განთავსების ადგილი ურტა (ზუგდიდი)	ფოთის ნაგავსაყრელი (ფოთი)	ხობის დახურული ნაგავსაყრელი (ხობი)	სენაკის დახურული ნაგავსაყრელი (სენაკი)	ზუგდიდის ნარჩენების შერჩევის კომპანიის მიერ შემოთავაზებული ადგილი (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (სენაკი)
მისაწვდომობა	2.5 კმ ბეტონის გზა რომელიც უერთდება თბილისი - სენაკი - ლესელიძის საავტომობილო გზას	გზა უერთდება თბილისი - სენაკი - ლესელიძის საავტომობილო გზას: 700 მეტრი გზის მონაკვეთი გადის დასახლებულ ადგილებში, 3.2 კმ თბილისის პლანტაციებით დაფარულ ადგილებში	კარგი გზა	მიდის მხოლოდ გრუნტის გზა, ზოგიერთ ადგილზე ცუდ მდგომარეობაშია	მიდის მხოლოდ გრუნტის გზა, ზოგიერთ ადგილზე ცუდ მდგომარეობაშია	ნაწილობრივ მისაწვდომია, მიდის პატარა გრუნტის გზა	ადგილის ბოლომდე მიდის ვიწრო ცუდ მდგომარეობაში მყოფი გზა	ადგილის სამხრეთ საზღვრამდე მიდის გზა, რომელიც უერთდება ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის E97 ტარსას	დგილამდე მისასვლელი გზა)უმეტესე ადგიოლებში ცუდ მდგომარეობაში მყოფი) გადის დასახლებულ ადგილებში სოფ ცაცხვილში. უერთდება თბილისი - სენაკი - ლესელიძის საავტომობილო გზა	ადგილის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრამდე მიდის ქუჩა, რომელიც არის რუთაველის ქუჩის გადასახვევი	ადგილის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრამდე მიდის ქუჩა
არსებული დამხმარე ინფრასტრუქტურა (ელექტროობა და წყალი)	ელექტრო ქსელში ჩართვის შესაძლებლობა; არსებობს წყლამომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემები	სავარაუდო კავშირი ელექტრო ქსელთან მაღალი ძაბვის ელექტროგამცემი ხაზით, რომელიც მახლობლად გადის	ელექტრო ქსელში ჩართულია	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
მიწათსარგებლობა	არსებული რეგიონული ნაგავსაყრელი, ნარჩენების განთავსების ადგილი (ფოთის და მესტიის მუნიციპალიტეტების გამოკლებით)	ნარჩენების განთავსების ყოფილი ადგილი ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის რაიონისათვის; მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად დახურულია, მაინც ხდება არაფორმალურად ნარჩენების განთავსება	არსებული ნაგავსაყრელი, ნარჩენების განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება ფოთს	ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილი რომელიც დახურულია, შემოღობილია და აღარ გამოიყენება	ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილი რომელიც დახურულია, შემოღობილია და აღარ გამოიყენება	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ნაწილობრივ სამოვარი, ნაწილობრივ ტყიანი ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო მიწები(ძირითა დად სახნავი მიწები)	ნაწილობრივ სამოვარი, ნაწილობრივ ტყიანი ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო მიწები(ძირითად დად სახნავი მიწები)	სასოფლო-სამეურნეო მიწები(ძირითად დად სახნავი მიწები)

	CU 01	CU 02	CU 03	CL 01	CL 02	PO 01	PL 01	PL 02	PL 03	PL 04	PL 05
	ზუგდიდის ნაგავსაყრელი (ზუგდიდი)	ნარჩენების განთავსების ადგილი ურტა (ზუგდიდი)	ფოთის ნაგავსაყრელი (ფოთი)	ხობის დახურული ნაგავსაყრელი (ხობი)	სენაკის დახურული ნაგავსაყრელი (სენაკი)	ზუგდიდის ნარჩენების შეგროვების კომპანიის მიერ შემოთავაზებუ ლი ადგილი (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტი ს მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტ ის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (ზუგდიდი)	წინასწარ შერჩეულია კონსულტანტის მიერ (სენაკი)
გამოსარიცხი კრიტერიუმები და რისკები	პრინციპში მისაღები მდებარეობა; თიხოვანი მიწის ფენა წარწმოდგენს საუკეთესო ბუნებრივ გეოლოგიურ ბარიერს, მიუხედავად ამისა თიხის მარაგის გამოყენება კიდევ იქნება საჭირო	პრინციპში მისაღები მდებარეობა; (ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილი, პატარაა, მაგრამ არის ადგილის გაფართოების შესაძლებლობა); ეკონომიკურად ღირებული თხილის პლანტაციებითაა გარშემორტყმული	არ აქვს მისაღები მდებარეობა ნარჩენების წარმოქმნის ცენტრიდან მოშორებით მდებარეობის გამო; (მდებარეობს მდინარის პირას/მდინარის დელტაში) ძალიან პატარაა	ძალიან პატარაა(ტერიტორიის გაფართოების შესაძლებლობის პირობებშიც კი)	ძალიან ახლოსაა აეროდრომთან, ძალიან პატარაა ; არახელსაყრელი მდებარეობა წყალშემკრებ აუზთან სიახლოვის გამო	500 მ-იან რადიუსში ახლად აშენებული ფერმაა, სახლი შემოთავაზებული ტერიტორიის მთავარ ნაწილს ფარავს	არ აქვს მისაღები მდებარეობა ნარჩენების წარმოქმნის ცენტრთან. (ნაგავში მანქანების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ქ.ზუგდიდის გავლით)	არ აქვს შესაფერისი მდებარეობა ნარჩენების წარმოქმნის ცენტრთან (ნაგავში მანქანების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ქ.ზუგდიდის გავლით)	საცხოვრებელ სახლებთან სიახლოვე, არახელსაყრელი მდებარეობა ქედზე	საცხოვრებელ სახლებთან სიახლოვე, შესაბამისი მდებარეობა ნარჩენების წარმოქმნის მეორე ცენტრთან (სენაკის მუნიციპალიტეტთან)	ფერდობის არასტაბილურობა შესამჩნევია ; არახელსაყრელი მდებარეობა წყაკშემკრებ აუზთან სიახლოვის გამო; ნარჩენების წარმოქმნის ცენტრიდან მოშორებით მდებარეობა
რეკომენდაცია სამომავლო შეფასებისთვის	კი	კი	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა

5 ნაწილი B – სავარაუდო ადგილების შეფასება

საველე გასვლის დროს გამოკვლეული და შეფასებული ადგილებიდან, ნაგავსაყრელის განთავსების სავარაუდო ადგილებად წინასწარ შერჩეული იქნა CU 01 და CU 02. ეს ორივე ადგილი მდებარეობს ზუგდიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით და შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის ცენტრთან არის ახლოს, მაგალიტად ქალაქ ზუგდიდთან, სენაკთან და ფოთთან.

ქვემოთ გთავაზობთ ამ 2 ადგილის დეტალურ აღწერას, შეფასებას და შედარებას ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის და მომავალი სანიტარული ნაგავსაყრელის განხორციელებისთვის ხელსაყრელი ადგილის შესარჩევად.

5.1 სავარაუდო ადგილების დეტალური აღწერა

5.1.1 სავარაუდო ადგილი CU 01: არსებული ზუგდიდის ნაგავსაყრელი

ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელი მდებარეობს ზუგდიდიდან 15 კმ დაშორებით სამხრეთ-აღმოსავლეთით და 15 კმ დაშორებით ხობიდან ჩრდილო-დასავლეთით, 1 კმ სოფელ საკუკავომდე, დაბლობზე 12-14 მეტრზე ზღვის დონიდან.

ნაგავსაყრელი - საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ იმართება და ტერიტორია მისი გამგებლობის ქვეშაა.



რუკა 6 სავარაუდო ადგილი CU 01: არსებული ზუგდიდის ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობა

ადგილი გარშემორტყმულია შემდეგი სოფლებით:

- საკუკავო აღმოსავლეთით
- ცაცხვიში ჩრდილო-აღმოსავლეთით
- ორულუ დასავლეთით
- მოგირი სამხრეთ-დასავლეთით
- საბუკლო სამხრეთ-აღმოსავლეთით

მანძილი თითოეულ ამ სოფლამდე 1000 მეტრზე მეტია, 100 მეტრის რადიუსში არ დგას არც ერთი საცხოვრებელი სახლი ნაგავსაყრელის გარშემო.

არსებული ნაგავსაყრელი მდებარეობს იმ ადგილას, საიდანაც ადრე ხდებოდა თიხის მოპოვება. სავარაუდოდ, ჯერ კიდევ არის დარჩენილი თიხის მნიშვნელოვანი მარაგი ამ ტერიტორიაზე თუმცა იგივე ხარისხის თიხის მოპოვება რეგიონში სხვა ადგილებშიც შესაძლებელია.

ნაგავსაყრელი ტერიტორია დაახლოებით 15 ჰა-ს ფარავს. (ეს მოიცავს განთავსების ადგილს უშუალოდ, ჯერ კიდევ გამოუყენებელი ადგილი და შესასვლელი).

ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული იყო როგორც ნარჩენების განთავსების ადგილი - წარსულშიც. 2009 წელს ადგილზე ჩატარდა პირველადი საექსპლუატაციო სამუშაოები და ასევე მიყვანილი იქნა გზა.



რუკა 7 არსებული ზუგდიდის ნაგავსაყრელის სტატუს-კვო

2013 წლიდან საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია მართვას აღნიშნულ ნაგავსაყრელს. ადგილი აღჭურვილია საკონტროლო სისტემით, მათ შორის

სასწორი.სექტემბერში ადგილზე გასვლის დროს ადგილი არ იყო ჩართული ელექტრო ქსელში.და შესაბამისად არც სასწორი არ მუშაობდა და არც განათების სისტემა. ამ მომენტისათვის ენერჯია მიეწოდება ასე რომ ეს პრობლემები მოხსნილია.

ნაგავსაყრელი არაა დაკავშირებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემასთან. შესაბამისად, სანიტარული ნაგებობები არ არის განთავსებული ნაგავსაყრელზე, გარდა საპირფარეოსი.

2.5 კმ-ის სიგრძის ბეტონის გზა აკავშირებს ნაგავსაყრელს თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტო მაგისტრალთან.

აქამდე დაახლოებით 23. ტერიტორიაზე ხდება ოპერირება და ნარჩენების განთავსება, რომლის სიმაღლე 4 მეტრამდე. მთლიანად განთავსებული ნარჩენების რაოდენობა მერყეობს 50,000 მ³ - 100,000 მ³. ნარჩენების უმეტესობა გადაფარულია ნიადაგის ფენით (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი).



სურთი 8 ზუგდიდის ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენები, გადაფარული მიწის ფენით ამჟამად ნაგავსაყრელის ოპერირება ხდება

- ნაგავსაყრელის ფსკერზე საიზოლაციო ფენის გარეშე
- ჩანაჟონი წყლების სადრენაჟო სისტემის, შემკრებისა და გამწმენდის გარეშე,
- ნაგავსაყრელის აირების შეგროვებისა და გაწმენდის გარეშე

ნაგავსაყრელზე წარმოქმნილი ჩანაჟონი წყლები ჩაედინება დასავლეთ საზღვართან ღია არხში, რომელიც მიედინება მახლობელი საძოვრების გათვლით შავი ზღვის მიმართულებით. (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი).



სურათი 9 საძოვრები ზუგდიდის ნაგავსაყრელის დასავლეთით


ნაგავსაყრელის ოპერირების გეგმა ვერ იქნა მოძიებული ადგილზე.

5.1.2 სავარაუდო ადგილი CU 02: ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილი

ეს ადგილი მდებარეობს 9 კმ-ზე ქ. ზუგდიდის სამხრეთით და 2 კმ-ზე სოფელ ურტადან. ზუგდიდის აეროდრომი 5 კმ-ითაა დაშორებული.

შემოთავაზებული ადგილი ფარავს დაახლოებით 25 ჰა-ს და შედგება სხვადასხვა მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებიდან.

ადგილი საკმაოდ მოშორებულია საცხოვრებელი სახლებიდან და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზიდან, რომელიც ნაგავსაყრელის დასავლეთით მდებარეობს.



რუკა 10 სავარაუდო ადგილი CU 02: შემოთავაზებული ტერიტორია ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილზე, სოფელ ურტასთან


ეს ადგილი დაკავშირებულია თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალთან. გზით რომელიც 700 მ ის მანძილზე საცხოვრებელ სახლებთან და 3. 2 კმ თბილის პლანტაციის ადგილებში გადის.

ეს ადგილი არსებული ნაგავსაყრელის დასავლეთით მდებარეობს. აქ დაახლოებით 30,000 მ³ ნარჩენია განთავსებული, გადაუფარავი გროვების სახით. თბილის პლანტაციის მფლობელმა კომპანიამ გამოთქვა პეტენზია, რომ ეს ადგილი უნდა დაიხუროს და ჩაუტარდეს რეაბილიტაცია, შესაბამისად ამ ადგილზე, ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა კომპანიის მფლობელთან უნდა იქნას განხილული.

ეს ადგილი ზღვის დონიდან 62-64 მ-ზე მდებარეობს, ზედაპირული წყალი ჩაედინება სამხრეთ დასავლეთ მიმართულებით.

ამ ადგილას სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ არსებული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების პირობებში: არსებული გზა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვისაა განკუთვნილი და არა სატვირთო მანქანების სამომხრად, ამიტომაც მას გაუმჯობესება დასჭირდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნაგავსაყრელამდე მისასვლელი.

იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტი თხილის პლანტაციის მფლობელთან შესაძლებელია 4.5 კმ შემოვლითი გზის გამოყენება. (იხილეთ ქვემოთ მოცემული რუკა).



რუკა 11 ალტერნატიული გზა ნარჩენების ადგილამდე მისასვლელად

არსებული გზა ცუდ მდგომარეობაშია. საჭიროებს სრულყოფილ რეაბილიტაციას და გაფართოებას.

ელექტრო ქსელში ჩართვა ადვილად იქნება შესაძლებელი მაღალი ძაბვის ხაზზე დაერთებით, რომელიც ამ ადგილიდან ახლოს გადის.

ზედაპირული და გაწმენდილი ჩაჟონილი წყლები შესაძლოა ჩაიშვას სადრენაჟო არხში, რომელიც მიედინება სამხრეთ მიმართულებით მდინარე ჯუმისკენ.

5.2 სავარაუდო ადგილების შეფასება და შედარება

შემდეგ ცხრილში შეჯამებულია ორი შესწავლილი სავარაუდო ადგილის ძირითადი მახასიათებლები.

ცხრილი 8 სავარაუდო ადგილების მახასიათებლები

კრიტერიუმები	არსებული ზუგდიდის ნაგავსაყრელი	ნარჩენების განთავსების ადგილი სოფ. ურტასთან
ზომა	დაახლოებით 15 ჰა	დაახლოებით 15 ჰა
მანძილი ნარჩენების წარმოქმნის ცენტრამდე	დაახლოებით 15 კმ	დაახლოებით 6.5 კმ
ინფრასტრუქტურა	თბილისი-სენაკი-ლესელიძე ავტომაგისტრალი	თბილისი-სენაკი-ლესელიძე ავტომაგისტრალი
საგზაო დაკავშირება	2.5 კმ ბეტონის გზა უერთდება თბილისი-სენაკი-ლესელიძე ავტომაგისტრალს	700 მ ის მანძილზე გზა საცხოვრებელ სახლებთან და 3.2 კმ თბილისის პლანტაციის ადგილებში გადის
ელექტროენერგო და წყლის სისტემა	ელექტრო ქსელში ჩართვის შესაძლებლობა არ არის წყალმომარაგება და კანალიზაცია	ელექტრო ქსელში ჩართვა ადვილად იქნება შესაძლებელი მაღალი მბვვის ხაზზე დაერთების, რომელიც ამ ადგილიდან ახლოს გადის; არაა ინფორმაცია საკანალიზაციო და წყლის სისტემაზე (მოითხოვს დამატებით შესწავლას)
წყლის მიმართულება/ მანძილი მდინარემდე	არხი მდებარეობს ადგილის კუთხეში	სადრენაჟო არხი მდებარეობს ამ ადგილის მახლობლად
საკუთრება	სახელმწიფო(მნმკ)	კერძო
მიწისქვეშა პირობები	თიხოვანი ქანები(ყოფილი თიხის კარიერი)	მოითხოვს დამატებით შესწავლას

ეს ორი ადგილი შეფასებულია და შედარებული შემდეგი ასპექტების პირობებში:

ეს ორი ადგილი შეფასებულია და შედარებული შემდეგი ასპექტების პირობებში:

- მიმდებარე საცხოვრებელ სახლებზე ზემოქმედება (მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ მხარდაჭერასთან, ნებართვის მიღებისა და განხორციელების პროცესთან)
 - დასახლებულ ადგილამდე მანძილი
 - გაზრდილი ზეგავლენა სუნის გამო მახლობელ ტერიტორიაზე (დაახლოებით 5 კმ-ის რადიუსში) ცივი ჰაერის მასების გავლით და მტვერის გავრცელება ქარის მიმართულებით
 - ხილვადობა (გავლენა ლანდშაფტზე)

- კულტურული ასპექტები/ ისტორიული ძეგლები ადგილის სიახლოვეს
- ტურიზმი (იხილიეთ ზემოთ)
- კონფლიქტი მოსაზღვრე ტერიტორიებზე მიწათსარგებლობის არსებულ პრაქტიკასთან (მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ მხარდაჭერასთან, ნებართვის მიღებასა და განხორციელების პროცესთან)
 - დასახლების განვითარება (არსებული გეგმები და ა.შ.)
- სასოფლო-სამეურნეო გამოყენება (განსაკუთრებით ვენახის გაშენება)
- ბუნებრივი რესურსები
- ეკოლოგიური ასპექტები (მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორც ორივე ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით)
- წყლები (ზედაპირული წყლების წყალშემკრები, მოსალოდნელი მიწისქვეშა წყლების დონე და მიწისქვეშა ქანებზე მათი გავლენა)
- გეოლოგიური ბარიერი (გაუმტარი მიწისქვეშა ქანები, მიწისქვეშა დაბინძურებული წყლის ჩაღწევის თავიდან აცილების მიზნით - დეტალური ინფორმაცია მომდევნო პროექტის ფაზების განმავლობაში იქნება შესწავლილი)
- ფლორა / ფაუნა / ბიომრავალფეროვნება დაცული ტერიტორიების გარეთ (დეტალური ინფორმაცია მომდევნო პროექტის ფაზების განმავლობაში იქნება შესწავლილი)
- კავშირი არსებულ ინფრასტრუქტურასთან (გზები, ელექტროფიცირება, წყალი) მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორც ორივე ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით
- მანძილი ნარჩენების წარმოქმნის ცენტრამდე (ზუგდიდი):
განაწილება: დადებითი (+) 0-10 კმ, ნეიტრალური (o) 10-20 კმ, უარყოფითი (-) >20 კმ.
- მისასვლელი გზის სიგრძე (ახლის მშენებლობა ან შეკეთება)
განაწილება: დადებითი (+) 0-2 კმ, ნეიტრალური (o) 2-4 კმ, უარყოფითი (-) >4 კმ.
 - მანძილი ზედაპირული წყლის ობიექტამდე
განაწილება: დადებითი (+) 0-2 კმ, ნეიტრალური (o) 2-4 კმ, უარყოფითი (-) >4 კმ.
 - 400 V ელექტროგადამცემ სადგურამდე მანძილი (250 KW)
განაწილება: დადებითი (+) 0-1.5 კმ, ნეიტრალური (o) 1.5-3 კმ, უარყოფითი (-) >3 კმ.
- საჭირო მიწის სამუშაოებისა და სტაბილურობის ასპექტები (მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორც ორივე ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით)

- ფერდობის დახრილობა განაწილება: დადებითი (+) 0 – 5 %, ნეიტრალური (o) 5 – 10 %, უარყოფითი (-) > 10 %
- დამატებითი მიწის სამუშაოს აუცილებლობა, არსებული ნარჩენების ამოღება (ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილების შემთხვევაში) ან ფერდობის სტაბილურობის გაუმჯობესების ღონისძიებები, რაც იწვევს დროის და ხარჯების ზრდას
- არასტაბილურობის რისკი (მოითხოვს ტექნიკურ გაუმჯობესებას)
- მიწათმლობელობა (მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების მხარადაჭერასთან, საინვესტიციო ხარჯებთან, ნებართვის მიღებასა და განხორციელებასთან)
 - პოტენციური ნაგავსაყრელის ტერიტორია (სახელმწიფო ან კერძო)
 - პოტენციური დამხმარე ნაგებობების ტერიტორია (სახელმწიფო ან კერძო)

შემდეგ ცხრილში ორი სავარაუდო ადგილია შედარებული, ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტების გათვალისწინებით.

ცხრილი 9 სავარაუდო ადგილების შედარება

კრიტერიუმი	ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელი		ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილი ურტა	
	მონაცემები	რეიტინგი*	მონაცემები	რეიტინგი*
გავლენა მიმდებარე საცხოვრებელ ადგილებზე	მაღალი		საშუალო	
მანძილი უახლოეს დასახლებასთან	> 1000 მ მანძილზე არ არის არცერთი საცხოვრებელი სახლი	+	500 მში არის პატარა საცხოვრებელი ადგილი (არა ცალკული სახლები)	-
სუნი (ცივი ჰაერის დერეფანი)	ნორმალური	+	ნორმალური	o
მტვერი (ქარის დერეფანი)	ნორმალური	+	ნორმალური	o
ვიზუალური ზეგავლენა	საშუალო	o	საშუალო	o
ისტორიული ნაგებობები/ძეგლები	არცერთი	o	არცერთი	o
ტურიზმი	სიახლოვეს არაა არანაირი ტურისტული ინფრასტრუქტურა	+	სიახლოვეს არაა არანაირი ტურისტული ინფრასტრუქტურა	+

კრიტერიუმი	ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელი		ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილი ურტა	
	მონაცემები	რეიტინგი*	მონაცემები	რეიტინგი*
მიწების სხვა დანიშნულებით გამოყენების შემთხვევები	საშუალო		საშუალო	
დასახლების განვითარება	შესაძლო, მაგრამ არ არის ინფორმაცია დაგეგმილ დასახლებებთან დაკავშირებით	+	ნაკლებ სავარაუდოა, რადგან ტერიტორია დაფარულია თხილის პლანტაციებით ძირითადად	+
სასოფლო-სამეურნეო გამოყენება	სამოვრებია მიმდებარე ტერიტორიებზე	o	თხილის პლანტაციებია მიმდებარე ტერიტორიებზე	-
ბუნებრივი რესურსები	ნაგავსაყრელი მდებარეობს ყოფილი თიხის კარიერის ადგილას, მოითხოვს დამატებით შესწავლას	-	არაა ინფორმაცია წიაღისეულზე ან სხვა რესურსებზე	+
გარემოდაცვითი ასპექტები	საშუალო		საშუალო	
წყლები				
- ზედაპირული წყალი	დაბალი	+	დაბალი	+
- მიწისქვეშა წყლის მოსალოდნელი დონე		-	მაღალი	-
- მიწისქვეშა წყლით გაჟონილი წიაღი	მოსალოდნელია	-	მოსალოდნელია	-
გეოლოგიური ბარიერი	სავარაუდოდ კი თიხის საკმარისი მარაგიდან გამომდინარე, მოითხოვს დამატებით შესწავლას	+	მოითხოვს დამატებით შესწავლას	

კრიტერიუმი	ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელი		ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილი ურტა	
	მონაცემები	რეიტინგი*	მონაცემები	რეიტინგი*
ფლორა / ფაუნა / ბიო-მარავლფეროვნება	დაცული ტერიტორიების გარეთ მდებარეობს, მოითხოვს დამატებით შესწავლას	+	დაცული ტერიტორიების გარეთ მდებარეობს, მოითხოვს დამატებით შესწავლას	
არსებულ ინფრასტრუქტურასთან კავშირი (გზები, ელექტრობა, წყალი)		მაღალი		საშუალო
მანძილი ნარჩენების ცენტრთან (ზუგდიდი) [კმ]	17	o	10	o
მისასველი გზის მანძილი [კმ]	2.1	+	ძველი: 3.2/ ახალი: 4.4	o
- დასაგები [კმ]	0	+	ძველი: 0/ ახალი: 0	o
- შესაკეთებელი [კმ]	0		ძველი: 3.2/ ახალი: 4.4	
მანძილი უახლოეს ზედაპირული წყის ობიექტამდე [კმ]	არხი განთავსებულია ნაგავსაყრელის კუთხეში	+	სადრენაჟო არხი ტერიტორიის მახლობლად მდებარეობს	+
მანძილი უახლოეს ელექტრო გადამცემ სადგურამდე 400V (250 KW) [კმ]	0 სარგებლობის უფლების საკითხი გადაუწყვეტილია	+	0.5 ჯერ არაა დამონტაჟებული	o
საჭირო მიწის სამუშაოები და სტაბილურობის ასპექტები		საშუალო		საშუალო
ფერდობის დახრილობა [%]	1	+	1	+
დამატებითი საჭირო მიწის სამუშაოები	დიახ	-	დიახ	-
არსებული ნარჩენების ამოთხრა	დიახ უნდა მომზადდეს ღონისძიებების აღწერა	-	ნარჩენების განთავსების ძველი ადგილი	o
ფერდობის სტაბილურობის გაზრდის ზომები	არა	+	შესაძლოა	-
არასტაბილურობის რისკი	არა	+	არა	+

კრიტერიუმი	ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელი		ყოფილი ნარჩენების განთავსების ადგილი ურტა	
	მონაცემები	რეიტინგი*	მონაცემები	რეიტინგი*
მიწის მფლობელობა (მისაწვდომი ინფორმაცია – გამოსაძიებელია)		მაღალი		დაბალი
პოტენციური ნაგავსაყრელის ადგილი	სახელმწიფო (სმმმკ)	+	კერძო	-
პოტენციური (მოწყობილობა)	სახელმწიფო (სმმმკ)	+	კერძო	-

* მომავალი ნაგავსაყრელისთვის ადგილის შესაფერისობა

სავარაუდო ადგილების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის ნაგავსაყრელის ტერიტორია უფრო შესაფერისია სანიტარული ნაგავსაყრელისთვის.

სოფელ ურტას მახლობლად მდებარე ადგილის უარყოფითი მხარეები მოიცავს:

- თხილის პლანტაციები მოსაზღვრე ტერიტორიებზე
- მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი ძალიან ახლოს მდებარეობს შემოთავაზებულ ადგილთან, ასე რომ მოსალოდნელ კონფლიქტს ვერ გამოვრიცხავთ
- შემოთავაზებულ ადგილამდე მისასვლელი გზა უნდა გაუმჯობესდეს
- ადგილი შედგება კერძო საკუთრებაში არსებული სხვადასხვა მიწის ნაკვეთებიდან (მიწის ზოგიერთი ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო კომპანიის მფლობელობაშია)

საპირისპიროდ ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის ტერიტორიის უპირატესობანი მოიცავს:

- დასახლებული ტერიტორია, ისევე როგორც სხვა მიწათსარგებლობის ადგილებიდან, საკმარისად მოშორებულია
- ზედაპირის გააჩნია ბუნებრივი გეოლოგიური ბარიერი (თიხოვანი ნიადაგი, თუმცა მომავალი კვლევა ამ მიმართულებით მაინც საჭიროა)
- არსებული კარგი გზა და ელექტრო ქსელთან მიერთების შესაძლებლობა
- ტერიტორია არის მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის საკუთრებაში,
- თუმცადა, უნდა აღინიშნოს, რომ თიხის საბადოები ამ რეგიონში საკმარისია (ძალიან მნიშვნელოვანი თიხის ქანების არსებობა ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე, როგორც გეოლოგიური ბარიერი), შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამომავლოდ. თუმცა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინფარმაციის თანახმად, რეგიონში თანაბარი ხარისხის სხვადასხვა თიხი საბადო არსებობს.

გარდა ამისა, ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის სტატუსი კიდევ საჭიროებს დამატებით კვლევებს და შეფასებებს:

- არსებული ნაგავსაყრელის დამტკიცების სტატუსი

▪ უკვე განთავსებული ნარჩენების რაოდენობა

არსებული სიტუაცია უნდა იყოს გათვალისწინებული ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის დიზაინის მომზადებისა და მისი განხორციელების კონცეფციის შემუშავების დროს ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების ფაზაში. (ეს შეიძლება მოიცავდეს ნარჩენების განთავსების ადგილებში გათხრების ჩატარებას და დამატებით კვლევებს).

5.3 დასკვნები და რეკომენდაციები

არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კონსულტანტი რეკომენდაციას უწევს სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობას არსებული ზუგდიდის ნაგავსაყრელზე, ამავდროულად კონსულტანტი გააგრძელებს კვლევას აღნიშნულ ტერიტორიაზე და დაინტერესებული მხარეების ჩართვას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

საბოლოო გადაწყვეტილება სასურველი ადგილის შერჩევასთან დაკავშირებით, მიღებული იქნება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან განხილვის შემდეგ როცა დაზუსტდება ღია საკითხები.

ადგილის დადასტურების შემდეგ კონსულტანტი გააგრძელებს მუშაობას კონცეფტუალურ დიზაინზე. დიზაინის სამუშაოების დროს შემდეგი გამოკვლევები ჩატარდება:

- ზუგდიდის ნაგავსაყრელის არსებული სტატუსის შეფასება
- ადგილის ტოპოგრაფიული კვლევა;
- ნაგავსაყრელის ტერიტორიის გეო-ტექნიკური და ჰიდრო გეო-ტექნიკური კვლევა, რათა მომზადდეს გადაწყვეტილება, თუ რა ტიპის გეოლოგიური ბარიერის გამოყენება იქნება საჭირო. ნაგავსაყრელის საფუძველის სტაბილურობის და მოცურების რისკების შეფასება.
- ფლორისა და ფაუნის კვლევა, რათა განისაზღვროს პოტენციური გავლენა და შემუშავდეს შესაბამისი შერბილების ღონისძიებები.

გარდა ამისა, შეგროვდება არსებული მეტეოროლოგიური მონაცემები (ნალექები და აორთქლება).

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის ფაზაში ჩატარდება ყოვლისმომცველი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

გერმანიის განვითარების ბანკი
Entwicklungsbank
Palmengartenstr. 5 – 9
60325 ფრანკფურტი
გერმანია

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
პოლიტკოვსკანას ქუჩა N10
0186 თბილისი
საქართველო GEORGIA

ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატება

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა



14 ოქტომბერი 2016

 INFRASTRUKTUR & UMWELT
Professor Böhm und Partner

Julius-Reiber-Strasse 17
64293 Darmstadt
Germany

www.iu-info.de



Industriestraße 10
84137 Vilsbiburg
Germany

www.sehlhoff.eu



ალმაშენებლის განზირი
N150
0112 თბილისი
საქართველო
www.rec-caucasus.org



უზნაძის ქუჩა N 57
თბილისი 0102
საქართველო
www.pmcg-i.com

სარჩევი

1	შესავალი	1
2	(ახალი) კანდიდატი ადგილის აღწერა	2
2.1	დამატებითი ინფორმაცია ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის შესახებ	4
2.1.1	ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე თიხის საბადო	4
2.1.2	მიმდებარე ტერიტორიის ტურისტული პოტენციალი და თერმული წყლები სოფელ ცაიშში	4
2.1.3	ტერიტორიის მებაღეობის პოტენციალი (სათბურების მშენებლობა)	7
2.1.4	ნაგავსაყრელის ადგილის ტერიტორიაზე გრუნტისა და ზედაპირული წყალი	7
2.1.5	ნიადაგის შემცველობა ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე.....	8
2.1.6	ადგილზე საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებები სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის	8
2.2	სავარაუდო ადგილი ხობში	10
3	(ახალი) კანდიდატი ადგილების შედარება და შეფასება	13
3.1	ტრანსპორტირების ხარჯები	13
3.2	კანდიდატი ადგილების შემაჯამებელი შედარება	15
4	დასკვნა და შემდეგი ნაბიჯები	22

დანართი 1 წერილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან, რომელიც ზუგდიდის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე თიხის საბადოებთან არის დაკავშირებული

დანართი 2 წერილის მელიორაციის დეპარტამენტიდან, რომელიც ზუგდიდის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე სამელიორაციო საქმიანობებთან არის დაკავშირებული

დანართი 3 გეოლოგიური კვლევის ანგარიში ზუგდიდის ნაგავსაყრელისთვის (2013)

ცხრილები

ცხრილი 1	პოტენციური ნაგავსაყრელის ადგილების შედარება.....	16
ცხრილი 2	ზუგდიდის ადგილის სუსტი და ძლიერი მხარეების შეჯამება.....	19
ცხრილი 3	ხობის ადგილის სუსტი და ძლიერი მხარეების შეჯამება.....	20

სურათები/ რუკები/ ნახაზები

რუკა 1	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში კანდიდატი ადგილების მდებარეობა.....	3
რუკა 2	სოფელ ცაიში თერმული გოგირდოვანი წყლების ადგილმდებარეობა (ლურჯი დროშა) და ზუგდიდის ამჟამინდელი ნაგავსაყრელი (წითელი სამკუთხედი).....	5
სურათი 3	სანატორიუმი სოფელ ცაიში 1970/1980 წლებში (მარცხნივ) და დღეს (მარჯვნივ).....	5
სურათი 4	ცაიში თერმული წყლის ჭაბურღილი ფუნქციონირებს (მარცხნივ) და დალუქულია (მარჯვნივ)	6
რუკა 5	ადრინდელი განთავსების ადგილი(იასამნისფერი) და ამჟამად გამოყენებული ტერიტორია (მწვანე) ზუგდიდის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე.....	8
რუკა 6	ხობის მუნიციპალიტეტში შემოთავაზებული ნაგავსაყრელის მდებარეობა (მათ შორის შემოთავაზებული მისასვლელი გზა).....	11
სურათი 7	ხობის ადგილის მიტოვებული მიწის ნაკვეთები	12
რუკა 8	ნარჩენების ტრანსპორტირება კანდიდატ ადგილებამდე	14
ნახაზი 9	ტრანსპორტირების ხარჯები ალტერნატიულ კანდიდატ ადგილებამდე.....	15

აბრევიატურა

ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EU	ევროკავშირი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი
IFC	საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია
ISWM	მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა
IU	INFRASTRUKTUR & UMWELT Professor Böhm und Partner
KfW	KfW Entwicklungsbank (გერმანიის განვითარების ბანკი)
MRDI	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
NAPR	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NEA	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
PIU	პროექტის განმახორციელებელი
SWMCG	საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია

საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა

ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატება
(მეორე განახლებული სამუშაო ვარიანტი)

1 შესავალი

გუბერნატორის ოფისმა პროექტს დამატებით შესთავაზა ნაგავსაყრელის ალტერნატიული ადგილი, ხობის დახურული ნაგავსაყრელის მახლობლად. გუბერნატორის ოფისმა მხარი არ დაუჭირა ზუგდიდში ნაგავსაყრელის მოწყობას სხვადასხვა მიზეზების გამო(თიხის საბადოების არსებობა ამ ტერიტორიაზე, თერმული წყლები ცაიშში, სათბურები)

წარმოდგენილი ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატება წარმოადგენს ალტერნატიული შემოთავაზებული ადგილის აღწერას ზუგდიდში ამჟამად არსებული ნაგავსაყრელის ადგილთან შედარებით⁸, და აფასებს მათ შესაბამისობას დაგეგმილი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის განთავსებისათვის.

⁸ ამ ადგილზე და ადგილის შერჩევის პროცესზე დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი.

საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების
ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური
დასაბუთების კვლევა


ადგილის შერჩევის ანგარიშის
დამატება
(მეორე განახლებული სამუშაო
ვარიანტი)

2 (ახალი) კანდიდატი ადგილის აღწერა

რუკა აღწერს ორ შემოთავაზებულ ალტერნატიულ ტერიტორიას.

საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა

ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატება (მეორე განახლებული სამუშაო ვარიანტი)



რუკა 1 სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სავარაუდო ადგილების მდებარეობა
ალტერნატიულ შემოთავაზებულ ტერიტორიაზე სავსე გასვლა განხორციელდა 2016 წლის იანვარში.

საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა

ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატება (მეორე განახლებული სამუშაო ვარიანტი)

2.1 დამატებითი ინფორმაცია ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის შესახებ

ტერიტორია, სადაც ამჟამად ზუგდიდის ნაგავსაყრელი განთავსებული აღწერილია - ადგილის შერჩევის ანგარიშის სამუშაო ვარიანტის 5.1.1 თავში. ეს ქვეთავი გადმოგვცემს დეტალებსა და ავსებს ინფორმაციას შმდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

1. ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე არსებული თიხის საბადოები;
2. მიმდებარე ტერიტორიის ტურისტული პოტენციალი სოფელ ცაიშში არსებული თერმული/გოგირდოვანი წყლების არსებობიდან გამომდინარე;
3. ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალი (სათბურების მშენებლობა);
4. ნაგავსაყრელის ადგილზე არსებული გრუნტისა და ზედაპირული წყლები;
5. ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე ნიადაგის პირობები;
6. საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებები სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის.

2.1.1 ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე თიხის საბადო

როგორც უკვე აღინიშნა, სამხარეო ადმინისტრაცია არსებული ნაგავსაყრელის ადგილს მხარს არ უჭერს, ნაგავსაყრელის ადგილის ტერიტორიაზე არსებული თიხის საბადოების გამო.

2013 წელს ნაგავსაყრელის ადგილი განახლებისას ჩატარებული ნიადაგის ანალიზების მიხედვით, მთლიანი ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე ნიადაგი არის თიხნარი. ზოგადად, თიხის შემცველი ნიადაგი კარგია სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის, რადგან ის ბუნებრივ ბარიერს უზრუნველყოფს. თუმცა, ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე თიხის საბადოების არსებობა, არის ერთ-ერთი კონტრ-არგუმენტი სანიტარული ნაგავსაყრელის განხორციელებისათვის.


რეგისტრირებული თიხის საბადოდან თიხის მოპოვების საკითხის დასაზუსტებლად კონსულტანტმა მიმართა გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიურ დეპარტამენტს. საიდანაც მოიპოვა ინფორმაცია რომ ზუგდიდის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე არ არის რეგისტრირებული თიხის საბადო (იხ დანართი1), საბადოები არის რეგისტრირებული მიმდებარე ტერიტორიებზე მხოლოდ. რაც არანაირად არ ეწინააღმდეგება ამჟამად არსებულ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის მოწყობას.

2.1.2 მიმდებარე ტერიტორიის ტურისტული პოტენციალი და თერმული წყლები სოფელ ცაიშში

თერმული გოგირდოვანი წყლების არსებობის გამო სოფელ ცაიშში საბჭოთა პერიოდში 1970-1980 წლებში განთავსებული იყო ეროვნული მნიშვნელობის ბალნეოლოგიური სანატორიუმი.

საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა

ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატება (მეორე განახლებული სამუშაო ვარიანტი)



რუკა 2 სოფელ ცაიში თერმული გოგირდოვანი წყლების ადგილმდებარეობა (ლურჯი დროშით არის გამოსახული) და ზუგდიდის ამჟამინდელი ნაგავსაყრელი (წითელი სამკუთხედი)

ცაიშში ყოველთვიურად ტურისტების რაოდენობა საშუალოდ დაახლოებით 200 ვიზიტორს შეადგენდა, ხოლო სეზონის პიკის დროს (მაისი – ოქტომბერი) 550 ვიზიტორს. სეზონის პიკის დროს სტუმრები არა მხოლოდ სანატორიუმში რჩებოდნენ, არამედ სოფელ ცაიში/მიმდებარე ტერიტორიაზე სასტუმრო სახლებშიც.



სურათი 3 სანატორიუმი სოფელ ცაიში 1970/1980 წლებში (მარცხნივ) და დღეს (მარჯვნივ) ცაიშში არის ოთხი ჭაბურღილი/მადრევანი, მათგან ორი ჯერ კიდევ ფუნქციონირებს, ხოლო დანარჩენი ორი დალუქულია.

საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა

ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატება (მეორე განახლებული სამუშაო ვარიანტი)



სურათი 4 ცაიში თერმული წყლების ფუნქციონირებადი (მარცხენივ) და დალუქული (მარჯვენივ) ჭაბურღილები

თერმული წყლები გამოიყენებოდა ძვალ სახსართა დაავადებების სამკურნალოდ, ისევე როგორც კანის დაავადებებისთვის.

სამხარეო ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თერმული გოგირდოვანი წყლები და ყოფილი ბალნეოლოგიური სანატორიუმი სოფელი ცაიში სხვა ტურისტულ ადგილებთან ერთად (ისტორიული შენობები და ბუნებრივი ძეგლები), შეიძლება გამოყენებული იქნას ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისთვის. არსებობს საფრთხე, რომ ზუგდიდში დღევანდელი ნაგავსაყრელის ადგილზე სანიტარულმა ნაგავსაყრელმა შეიძლება ტერიტორიის ტურისტულ განვითარებას შეუშალოს ხელი, განსაკუთრებით როგორც პოტენციური ბალნეოლოგიური საკურორტო ქალაქის მშენებლობას.

სოფელ ცაიშის თერმული წყლები ზუგდიდის ნაგავსაყრელიდან დაახლოებით 4კმ -ში მდებარეობს ჩრდილოეთით/ ჩრდილო-აღმოსავლეთით (იხ. რუკა). ისინი მდებარეობენ:

- სოფელი ცაიშის სამხრეთით,
- პატარა მდინარის, რომელიც მდ. პატარა ენგურში ჩაედინება დასავლეთით, ჩრდილოეთ სანაპიროზე;
- ქედების მთისწინეთში ,რომელიც გადაჭიმულია ცაიშიდან, ცაცხვისა და ურტასკენ ხეთას ჩრდილოეთით იწყება, წინაგოლასა და საკვიკვინიოს სამხრეთით;
- თბილისის-სენაკის-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის(S 1) აღმოსავლეთით.

გამომდინარე იქედან, რომ მიწისქვეშა წყლები მიედინება თერმული წყლების საწინააღმდეგო მიმართულებით საგანგებო ვითარების შემთხვევაშიც კი მოსალოდნელი არაა ჩანაჟონი წყლებიდან მიწისქვეშა წყლების დაბინძურება. საკმაოდ შორების გამო, ნაგავსაყრელი, ტურისტული ადგილებიდან არ ჩანს და ტურისტულ ტერიტორიაზე არც სუნი და არც სხვა სახის დაბინძურება არ იქნება. გარდა ამისა,

საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა

ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატება (მეორე განახლებული სამუშაო ვარიანტი)

ნაგავსაყრელის ადგილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მდებარეობს, რომლებიც ტურისტებისთვის ინტერესს არ წარმოადგენს. მანძილი ნაგავსაყრელის ადგილსა და გზატკეცილი S 1 -ს შორის დაახლოებით 2კმ.-ია, აქედან გამომდინარე ნაკლებად სავარაუდოა რომ ტურისტები ამ გზაზე მოძრაობისას შეწყუბუნდნენ. ამდენად, შესაძლებელია ვთქვათ, რომ სოფელ ცაიშში თერმულ გოგირდოვან წყლებზე და სანატორიუმზე უარყოფითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, იმ შემთხვევაში თუ სანიტარული ნაგავსაყრელი ამჟამინდელი ზუგდიდის ნაგავსაყრელის ადგილზე განთავსდება. თუ საჭირო გახდა უფრო დეტალური შესწავლა განხორციელდება სგზმს ფაზაზე.

2.1.3 ტერიტორიის მებაღეობის პოტენციალი (სათბურების მშენებლობა)

სამხარეო ადმინისტრაციიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამინდელი ზუგდიდის ნაგავსაყრელის შემოგარენში ადგილი აქვს სასათბურე მეურნეობების განვითარებას. სანიტარული ნაგავსაყრელის სწორად მართვის შემთხვევაში, ის მის გარშემო სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს. პირიქით, ახლომდებარე სათბურებმა შეიძლება ისარგებლონ ნაგავსაყრელით. მაგალითად, ანკარაში/თურქეთში ნაგავსაყრელის გაზი და მეთანი ელექტროენერჯისა და სითბოს წარმოებისთვის გამოიყენება. ჭარბი სითბო და ნახშიროქსაჟანი მიმდებარე სათბურებს გადაეცემა, სადაც პომიდორი და მარწყვია გაშენებული.⁹

2.1.4 ნაგავსაყრელის ადგილის ტერიტორიაზე გრუნტისა და ზედაპირული წყალი

ამჟამინდელი ზუგდიდის ნაგავსაყრელის ტერიტორია მდებარეობს სამხრეთით მდინარე ხობსა და ენგურს (ჩრდილოეთით) შორის. საქართველოს მელიორაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (იხ დანართი 2), აღნიშნული ჭარბტენიანი ტერიტორია, რომელიც ხასაითდება უხვი ატმოსფერული ნალექებით და მიწისქვეშა წყლების მაღალ ნიშნულზე დგომით, მოითხოვს დაშრობითი სამუშაოების ჩატარებას. ამ მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია დაშრობის სისტემის ხშირი სადრენაჟო-საკოლექტორი ქსელი, რომელსაც რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2013 წელს. სანიაღვრე სისტემა უნდა შენარჩუნდეს ნაგავსაყრელის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

ზუგდიდის აღმოსავლეთით მდებარე სოფლებში ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დინების მიმართულებიდან გამომდინარე სასმელი წყლის სისტემა ნაწილობრივ უზრუნველყოფილია ჭებიდან. ამგვარად, ნებისმიერი ზეგავლენა მიწისქვეშა წყლის ხარისხზე, რომელიც შეიძლება ნაგავსაყრელის ოპერირებით იყოს გამოწვეული, თავიდან უნდა იყოს აცილებული, როგორც დღეს ისე მომავალშიც.¹⁰ ამჟამინდელი ზუგდიდის ნაგავსაყრელზე ჩატარებული დაბურღვების მიხედვით, მიწისქვეშა წყალი 2.5 – 3.4 მ.-ზეა ზედაპირიდან ქვემოთ.

⁹ დამატებითი ინფორმაციისთვის: http://www.climatevolunteers.com/resimler/GS_CS_Mamak_print.pdf

¹⁰ Soil and groundwater investigations that were undertaken when the SWMCG took over the operation of the current Zugdidi landfill provide a first overview on the quality of the groundwater in 2013 (q.v. Annex 3).

საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა

ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატება (მეორე განახლებული სამუშაო ვარიანტი)

2.1.5 ნიადაგის შემცველობა ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე

ჭარბტენიანი ნიადაგი, რომელიც მოითხოვს მუდმივი და ხშირი სადრენაჟო-საკოლექტორი ქსელის არსებობას წარმოადგენს ერთგვარ გამოწვევას სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობისა და ოპერირებისათვის .

პოლიგონის ტერიტორიაზე გავრცელებულია თიხნარი ნიადაგები, რომელთა გამტარიანობა ძალზე დაბალია. ამასთან, დაბურღვების მონაცემებით გრუნტის წყლის დონემდე გვხვდება ძნელად პლასტიური თიხები, ხოლო გრუნტის წყლის ქვემოთ - რბილადპლასტიური. მთლიანობაში პოლიგონის ტერიტორია გეოლოგიური პირობების თვალსაზრისით მისაღებია. (იხ.დანართი 3).

2.1.6 ადგილზე საჭირო მოსაშაადებელი ღონისძიებები სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის

ზუგდიდის ნაგავსაყრელ პოლიგონზე სანიტარული ნაგავსაყრელის განხორციელება მოითხოვს ამჟამად მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ფენის რეაბილიტაციას, რათა დავრწმუნდეთ, რომ მომვალში ნაგავსაყრელი განხორციელებული და ოპერირებული იქნება სანიტარული ნაგავსაყრელისათვის მოთხოვნილი სტანდარტების მიხედვით. სარეაბილიტაციო ღონისძიებები ასევე მოიცავს წარსულში განთავსებული მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ფენის რეაბილიტაციასაც, რომლის მოცულობა დამოკიდებულია ნარჩენების დეგრადაციის სტატუსზე და ოდენობაზე,

შემდეგ ნახაზზე ნაჩვენებია მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების ადრინდელი და ამჟამინდელი ადგილები.



რუკა 5 ადრინდელი განთავსების ადგილი(იასამნისფერი) და ამჟამად გამოყენებული ტერიტორია (მწვანე) ზუგდიდის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე

2013 წლიდან , როდესაც ზუგდიდის ნაგავსაყრელი გაიხსნა საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ, ნარჩენების განთავსების ტერიტორია

საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა

ადგილის შერჩევის ანგარიშის დამატება (მეორე განახლებული სამუშაო ვარიანტი)

ნაგავსაყრელის ჩრდილოეთ კიდეზე მდებარეობს. ამჟამად გამოყენებული განთავსების ტერიტორია დაახლოებით 4,5 ჰა-ს შეადგენს. ამ ტერიტორიაზე განთავსებული ნარჩენების სიმალლე მერყეობს მიწის დონიდან 1-4 მ-ს შორის. თუ ვივარაუდებთ რომ ამ ტერიტორიაზე საშუალოდ 2,5 მ.-ის სიმალლეზეა განთავსებული ნარჩენები, გამოდის რომ სულ განთავსებული ნარჩენების რაოდენობა არის 113,000 მ³.

